# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 1 მარტი 2002 №34 (1556) | ფასი 50 თეთრი


# მოვიდა რუსი!

## 65 ქორწილის თამადით, უცნობი ტანკით და, რა თქმა უნდა, ბრალდებით ქართველები რუსებს ჩაგრავენ



რუსეთის ნაკრების ქართველი უფროსი დუგლას კვათელაშვილი



რუმინელმა კოზმინ კონტრამ „მილანი“ სირცხვილისგან იხსნა



დათვები „ცეცინათელას“ შეესივნენ

# ეს რა იყო და მერე რა იქნება!

UEFA CUP

წუხელ ბევრი რამ მოხდა სასეირო:

პარმაში ტრიბუნებზე ებრაელები ორჯერ სჭარბობდნენ იტალიელებს, ხოლო „ჰაპოელი“ პირველი ებრაული გუნდი შეიქნა, უეფას თასის მეოთხედფინალს რომ ეწია;

გიორგი გახოკიძემ ლიდსის „ელანდ როუდზე“ შეაბიჯა და... მსაჯმაც მატჩის დასრულებისა ჩასტვინა, პსვ-ს გამარჯვებით კი გახოკიძე მეორე ქართველი გახდა, ვინაც ამ ევროთასის მეოთხედფინალში ითამაშებს, პირველი აიაქსელი შოთა არველაძე იყო;

„მილანმა“ ძირითადი დრო დათმო კაცნაკლულ „როდასთან“, საქმე საპენალტოდ გაიხადა და იქაც ვერ ივარგა, ორი პენალტი გააფუჭა, მათგან ერთი კახა კალაძემ და ბედის უცნაური ტრიალით მაინც მოგებული დარჩა — ჰოლანდიელებს სამი დარტყმა წაუხდათ. ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალმიღწეული ერთადერთი ქართველი კახა კალაძე უეფას მეოთხედფინალისტ ჩვენებურთა შორის მესამეა.

შემდეგ ეტაპზე კი ვნახავთ:

კუპერს კუპერის წინააღმდეგ — „ვალენსია“ ხვდება „ინტერს“;

საქმის გარჩევას ჰოლანდიურად — პსვ ხვდება „ფეიენოორდს“;

კალაძის ჩასვლას სისხლით მორწყულ აღთქმულ მიწაზე;

რიხით გასულ „ლიბერეცს“ ფრეებით გასულ „დორტმუნდის“ წინააღმდეგ.


იხილეთ მეორე გვერდი


# გაზაფხულის პირველი კადრი: ზამთარს გადარჩენილი ქართველები ხორვატს გამოცდიან

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 13 ლიგა
პირველი ეტაპი

ერთ ძველ ქართულ ქალაქში, საიდანაც ახლა ქართულ ფეხბურთს ჩემპიონი ჰყავს, არცთუ შორეულ გაჭირვებულ დროში ხუმრობდნენ, ვინც ამ ზამთარს გადავურჩებით, გაზაფხულზე კოლექტიური ფოტო გადავიღოთო.

აშხაბადიდან თურქმენმაშის თასის ჩამომტან ქუთაისის „ტორპედოსი“ რა გითხრათ და, ბარე ორ ქართულ კლუბს ნამდვილად არ ედგა სახუმარო ზამთარი.

აქეთ „მერანის“ სამთვიანი უხელფასობის ამბავი გეცოდინებათ, იქით ფოთის მერიის გადამკიდე უცხოური შეკრების გარეშე დარჩენილი „კოლხეთის“ გასაჭირი. 12 მოთამაშის და უმთავრესწერთნელოდ დარჩენილ ლანჩხუთის „გურიას“ კი, ჩანს, ისევ იქ მოუწევს დაბრუნება, საიდანაც მოძმე „ლოკომოტივმა“ შარშან ძალისძალით დაიხსნა. აუტსაიდერი რუსთავის „გორდა“ სტუმარი იქნება საშინაო მატჩებშიც, რომლებსაც გადახნული „ფოლადის“ ნაცვლად თბილისში „შევარდენზე“ გამართავს. ერთი სიტყვით, გაჭირვებული და აქედანვე პირველი ლიგისკენ პირმიქცეული დალხენილზე მეტია.

სამაგიეროდ, თბილისის „დინამო“ ეროვნულ ჩემპიონატს ახალი, ქართულ-…ოური ტრანსფერებით და ხორვატი მწვრთნელით ხვდება დღესვე ხვდება …ლსაც“ ეროვნულ სტადიონზე სადაც კვირას რაგბია და ჩემპიონატი… სწორედ გაზაფხულის პირველივე დღეს განახლდება.

…, ქართული ფეხბურთის ზამთარს გადარჩენილთა სურათი!


იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდები




„დინამო“ — „ტორპედოს“ დავაში აწი უცხოელებიც ჩაერევიან

## უეფას თასი. მერვედფინალი
საპასუხო მატჩები. გუშინ

UEFA CUP

**ლიდს იუნაიტედი** (ინგლისი) 0:1 **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) (0:0)
0:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (89)
ლიდს იუნაიტედი: მარტინი, კელი, ჰარტი, მატეო, ფერდინანდი, მილსი, ბაკე, ბოიერი, კოუელი, ფოულერი, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
პსვ ეინდჰოვენი: ვოტერეუსი, ოიერი, ბოგელუნდი, ლუციუსი, ჰოფლანდი, ფოგელი, ვან ბომელი, ბუმა, რომედალი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (გახოკიძე 90), კეჟმანი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ბუმა
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
39 755 მაყურებელი

**ლიბერეცი** (ჩეხეთი) 4:1 **ლიონი** (საფრანგეთი) (1:1)
1:0 ნეზმარი (1), 1:1 მიულერი (17), 2:1 შტაინერი (76), 3:1 ნეზმარი (82), 4:1 ნოიმანი (85)
ლიბერეცი: კინსკი, ჰოდური (ნოიმანი 71), ჰოლენაკი, ლუკაში (ვალახოვიჩი 9), იანუ, იოჰანა, კოლუშეკი, ლანგერი, ზაბოჟნიკი, ნეზმარი (ბაფური 90), შტაინერი
მწვრთნელი: ლადისლავ შკორპილი
ლიონი: კუპე, დეფლანდრი, ედმილსონი, მიულერი, ბრეშე, დელმოტი (ლეგლი 72), ვიოლო (ნე 79), გოვუ, კარიერი (ჟუნინიო პერნამბუკანო 72), ს. ანდერსონი, გოვუ
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
გაფრთხილება: კარიერი, ლანგერი, ნე
მსაჯი: ედუარდო ბატისტა კორტესი (პორტუგალია)
9 506 მაყურებელი

**პარმა** (იტალია) 1:2 **ჰაპოელი** (თელ ავივი, ისრაელი) (0:0)
0:1 ოსტერცი (33), 0:2 პიზონტი (53), 1:2 ბონაცოლი (84)
პარმა: ს. ფრეი, ჟუნიორ, კანავარო, სენსინი, ლამუში, გურენკო (ჟუნიორი 46), ბოლანო, ნაკატა (მიკუ 46), ბონაცოლი, მარკიონი, შუქური (დი ვაიო 55)
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
ჰაპოელი: რაჰამინი, ანტები, გერშონი, ჰილელი (ტომე 76), ბახარი, აბუქსისი, ჰალფონი, ონიშჩენკო, პიზონტი, ოსტერცი (ლუზონ 90), ბალილი (უდი 74)
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
გაფრთხილება: ჰილელი, მარკიონი, ბალილი, ჰალფონი, მიკუ, პიზონტი
მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)
5 799 მაყურებელი

**დორტმუნდი** (გერმანია) 0:0 **ლილი** (საფრანგეთი) (1:1)
დორტმუნდი: ლემანი, ვორნსი, ევანილსონი, რიკენი, ოლისე, მეცელდერი, დედე, ო. ადო, როსიცკი, ამოროზო (სტივიჩი 80), ევერტონი (რეინა 70)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ლილი: უიმე, პიშო, ფამმე, სიგანი, ცვერი, მიხალოვსკი, ს. ნდიაი, ბრუნელი, სტეროიოვსკი (მუტოილი 81), ბრუნო შერუ (ბასირი 72), ბაკარი
მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
გაფრთხილება: რიკენი, ოლისე, დედე
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
50 000 მაყურებელი

**აეკ** (საბერძნეთი) 2:2 **ინტერი** (იტალია) (1:3)
0:1 გრეშკო (20), 1:1 კონსტანტინიდისი (23), 2:1 ნიკოლაიდისი (56), 2:2 ვენტოლა (67)
აეკ: ხოიტისი, ფეროზმი (ბალაფენისი 46), გამარა, ზაგორაკისი, ცარტასი, ქაცინიდისი (ფილია 75), გეორგაისი (მ. პეტკოვი 74), ს. კონსტანტინიდისი, ლაკისი, ნიკოლაიდისი, კასისი
მწვრთნელი: ფერნანდო კოსტა სანტოსი
ინტერი: ტოლდო, კორდობა, შიმიჩი, ხ. ძანეტი, გრეშკო, დი ბიაჯო, ქ. ძანეტი, კონსეისაო (ზეედორფი 59), გულიელმინპიეტრო, კალონი, ვენტოლა
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
გაფრთხილება: კასისი, კონსეისაო, ქ. ძანეტი
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
26 000 მაყურებელი

**ფეიენოორდი** (ჰოლანდია) 3:2 **გლაზგო რეინჯერსი** (შოტლანდია) (1:1)
0:1 მაკკანი (26), 1:1, 2:1 ვან ჰოოიდონკი (37, 43), 3:1 კალუ (46), 3:2 ფერგიუსონი (54პ)
ფეიენოორდი: ზუტებირი, ემერტონი, ლოოვენსი (სმოლარეკი 86), პაუვე, რზასა, კალუ (სმოლარეკი 75), ვან ვონდერენი, ბოსველტი, ვან პერსი (ელმანდერი 90), ონო, ვან ჰოოიდონკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიკი
გლაზგო რეინჯერსი: კლოსი, ნუმანი, ვიდმარი (ფლო 73), ამორუზო, მაკკანი, ფერგიუსონი, დე ბური (მოლსი 38), კონტერმანი, უილსონი, ლოვენკრანდსი, კანიჯა
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: ვიდმარი, მაკკანი, მაკკანი, ემერტონი
გაძევება: პაუვე (52), მაკკანი (72)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
43 000 მაყურებელი

**მილანი** (იტალია) 0:1დ.დ. (პენ. 3:2, 0:1) **როდა** (ჰოლანდია) (1:0)
0:1 ლურბერსი (70)
პენალტები
0:1 ანასტასიუ, 1:1 ბროკი, 1:2 ლოვალი, 1:2 ხოსე მარი (მცდარი), 1:2 კალაძე (მცდარი), 1:2 ლურბერსი (მცდარი), 2:2 პირლო, 2:2 ვან დერ ლეური (აცილება), 3:2 კონტრა
მილანი: აბიატი, კონტრა, ლაურსენი, შამოტი, როკე ჟუნიორი, გატუზო, დონატი (პირლო 105), კალაძე, რუი კოშტა (სიმონე 70), ხავი მორენო (ბროკი 81), ხოსე მარი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
როდა: კალინი, სონქაია, ტრუდე, ლურბერსი, ლეშამბრე (სონკო 46; ვან დერ ლეური 120), ვან დესელი, რუდესი, ჩუტანგი (სოტერსი 100), ნიგაარდი, ლოვალი, ანასტასიუ
მწვრთნელი: ჟორჟ ლეკენსი
გაფრთხილება: ლოვალი, ჩუტანგი, დონატი, კონტრა, ტრუდე, ტრუდე, სონკო, ლაურსენი, კალაძე, გატუზო
გაძევება: ტრუდე (86)
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
7 291 მაყურებელი

**სერვეტი** (შვეიცარია) 2:2 **ვალენსია** (ესპანეთი) (0:3)
0:1 ხუან სანჩესი (11), 1:1 რობერტი (38), 1:2 ანგულო (45), 2:2 ფრეი (67)
სერვეტი: პედატი, ვოლტერი, ლონდონო, ტ. ბა, ობრადოვიჩი (სანუ 46), ა. ფრეი, მეიერი, ლონფატი (მიჩკოვი 36), ფაკი, რობერტი, მარსელო (ორუმა 75)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრე
ვალენსია: პალოპი, კურრო ტორესი (რუფეტე 46), ჟუკიჩი, პელეგრინო, კარბონი (აურელიო 54), ანგულო, დე ლოს სანტოსი, მარჩენა, ვისენტე, კარეუ (მისტა 74), ხუან სანჩესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: რუფეტე, აურელიო, ჟუკიჩი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
15 000 მაყურებელი

### მეოთხედფინალის წილისყრა

ჰაპოელი — მილანი
პსვ ეინდჰოვენი — ფეიენოორდი
ინტერი — ვალენსია
ლიბერეცი — დორტმუნდი

პირველი მატჩები 14 მარტს გაიმართება, საპასუხოები — 21 მარტს



## ევროლიგა
მეორე ჯგუფური ეტაპი. 1 ტური. 28 თებერვალი

**E ჯგუფი**
სკივოლო 97:93 ბარსელონა

**F ჯგუფი**
იფსისი 73:76 კინდერი
რეალი 88:95 ურალ გრეიტი

**G ჯგუფი**
ოლიმპიაკოსი 92:75 პანათინაიკოსი

**H ჯგუფი**
მაკაბი 69:68 ცსკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი 13 პირველი ეტაპი

# 19 ტური

# ფულებს გაზაფხულზეც ითვლიან

## ქუთაისური სიბრძნე, ცხადაძე ცხადში და ტყებუჩავა ბრძოლებში



„დინამოს" ბრაზილიელი კარლოსი და ხორვატი მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი დღეს პირველ ქართულ სეზონს დაიწყებენ

**გაზაფხულის** პირველსავე დღეს ემთხვევა ქართული საფეხბურთო ჩემპიონატის განახლება. სიმბოლურად ყოველივე ჩინებულადაა. ჩვენი ფეხბურთელები კიდევ ერთხელ გავლენ მინდორზე და გულშემატკივარსაც შეიტყუებენ.

აქეთ ქუთაისური, იქით „დინამოს" მცირერიცხოვანი, თინეიჯერული და ერთგული ფანობა, ბოლნისური ალაფანობანა, მაგრამ...

მაგრამ ვერ არის რიგზე ყველაფერი და ვერც ქომაგობაა სათანადო, ფანების გარეშე კი ფეხბურთი მკვდარია. ამიტომაცაა, რომ გულშემატკივარი ყოველთვის პრიორიტეტი უნდა იყოს, ყველაფერი გულშემატკივრისთვის უნდა კეთდებოდეს, მაგრამ...

მაგრამ გახმაურებულ, ანუ ფეარ პლეის პრინციპები რომ ირღვევა, ისეთ თამაშებს ჩვენში განსაკუთრებულად უყურებენ. შარშანდელ შემოდგომაზე ჩატარებული გახმაურებული მატჩებს ვერდიქტი კვლავაც ვერ გამოუტანა ფეხბურთის ფედერაციამ, რადგან...

რადგან მხოლოდ ქართული ფეხბურთის საკლუბო ფლაგმანს შეუძლია სტუმრად 4:0 მოუგოს ჩვენს ჩემპიონატში საკმაოდ ძლიერ და მისთვის უხერხულ მეტოქეს მაშინ, როცა მატჩის წინ ფეხბურთელებმა ბუნტი მოუწყვეს მთავარ მწვრთნელს.

რადგან მხოლოდ საქართველოს ჩემპიონს შეუძლია არხეინად წააგოს მოგებული თამაში და მერე ეს ჩემპიონატის სტრატეგიული ასპექტებით გააქარწყლოს.

როგორც უნდა იყოს, ქუთაისის „ტორპედომ" ყველაზე შეკრული, გამართული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა საშემოდგომო ეტაპზე. როცა მან პრინციპული მატჩი მოუგო თბილისის „დინამოს", გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა პირდაპირ განაცხადა, ჩვენ სიბრძნის ხარჯზე გავიმარჯვეთო...

ძოძუაშვილის გუნდს საგაზაფხულო ეტაპისთვის სერიოზული შენაძენი არ ჰყავს, არადა, მალხაზ ასათიანი დღედღეზე მოაწერს ხელს კონტრაქტს კიევის „დინამოსთან", „ტორპედოს" კი მისი დარი მოთამაშე სხვა არ ჰყავს, თუმც საქართველოს ჩემპიონსა და თასის მფლობელს კვლავ რევაზ ძოძუაშვილი წვრთნის — „ტორპედო" ისევ საჩემპიონო ფავორიტია და ვერც დავით გვარამაძის „დინამოში" გადაბარგება შეცვლის რაიმეს.

ზღვისპირულ გუნდებში რევოლუციური ძვრები არ მომხდარა. სოსო ფილიას „კოლხეთს" ჰამლეტ წივწივაძის გოლების იმედი კვლავაც ექნება, ასლან ბალაძის „ბათუმს" კი ახლა პაატა მაჭუტაძის გარდა კიდევ ერთი მრავალნაცადი ფორვარდი დავით ჯანაშია შეემატა. ბათუმელებს ორი საინტერესო ახალგაზრდაც ჰყავთ კახა ქაცარავასა და ვიტალი დარჩიძის სახით.

ქვედა ექვსეულის გუნდებიდან ლანჩხუთის „გურიამ" გადაიტანა უმძიმესი ზამთარი, გუნდიდან გამოცდილები წავიდნენ და ოდენ ახალგაზრდა ფეხბურთელები შეემატნენ.

ბოლნისის „სიონი" არაფრის დიდებით არ გავარდება, მაგრამ ვერც ზეექსეულს შესწვდება. თუ აქამდე არგავარდნილი რუსთავის „გორდა" მეცამეტე ეროვნულში არ დაითარსება, დიდ მიღწევად ჩაეთვლება ეს მთავარ მწვრთნელ თენგიზ კაციას — გურულების გარდა ხომ მას მეტოქეობას ორი იმერული გუნდიც გაუწევს.

განსაკუთრებული თემაა თბილისის „დინამო". კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ როგორც იქნა, ნაბიჯი წინ გადადგა და უცხოელ სპეციალისტს უხმო. თუმც არც ქართველებს აწყენინა — ხელმოცარული გივი ნოდიას პოზიციები ისევ მყარია კლუბში, ხოლო ალექსანდრე ჩივაძე, უნდა ვივარაუდოთ, „დინამოს" პომპეზურობას შემატებს.

მაგრამ მაინც წაუიალლიშა „დინამომ". ივო შუშაკმა ძილისა და ორი ფორვარდის თეორია კი ჩამოგვიყალიბა, მაგრამ ამის განხორციელებაში ზაზა ზირაქიშვილი ხომ უდავოდ დიდად დაეხმარებოდა. ძალიან საინტერესოა შუშაკის „დინამოს" ხილვა. თანაც კლუბის ხელმძღვანელობამ ამას წინათ ცალსახად გვითხრა, ჩადებული მილიონების სიკეთე გუნდს მარტიდან უნდა დაეტყოსო.

ცალკე თემაა ახალგაზრდა მწვრთნელები და მათი ამბიციური გუნდები. კახა ცხადაძის „ლოკომოტივი" გიორგი ანჩაბაძეზე იყო აგებული, ახლა კი ცხადაძეს ბევრი რამის შეცვლა მოუწევს და თავისი, როგორც მწვრთნელის, ტალანტის დამტკიცებაც. ფაქტია, ანჩაბაძის გასხვისებით მოპოვებული თანხით რკინიგზელებმა მყვირალა შენაძენზე უარი თქვეს.

რთული კალენდარი აქვს გოჩა ტყებუჩავას „ვიტ ჯორჯიას", რომელსაც „ლოკომოტივის" დარად „დინამომ" წაჰგვარა ლიდერი ალეკო გოგობერიშვილი. ბრძოლისუნარიანობა და მეგობრობა — აი, ამით თუ შეძლებს ტყებუჩავას გუნდი ზეექვსეულში მოხვედრას, თორემ მარტო ლევან მელქაძის ფაქტორი ვერ გაჭრის.

ოთარ გაბელიას „მერანზე" სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ავჭალელთა განაჭირი ყბად ვილეთ და ახლა გაზაფხულის მოსვლას მივანდოთ ყოველივე.

...საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. სულ პატარა სიყვარული, სულ პატარა სიხარული გულში აღარ ეტევა და...

**დავით თავართქილაძე**

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 18 | 14 | 2 | 2 | 44:11 | 33 | 44 | 9 | 8 | 1 | 0 | 26:5 | 21 | 25 | 9 | 6 | 1 | 2 | 18:6 | 12 | 19 |
| 2 ლოკომოტივი | 18 | 12 | 3 | 3 | 33:10 | 23 | 39 | 9 | 7 | 1 | 1 | 18:5 | 13 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 15:5 | 10 | 17 |
| 3 მერანი | 18 | 10 | 2 | 6 | 32:24 | 8 | 32 | 9 | 7 | 1 | 1 | 20:6 | 14 | 22 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:18 | -6 | 10 |
| 4 ბათუმი | 18 | 9 | 4 | 5 | 24:15 | 9 | 31 | 9 | 8 | 0 | 1 | 17:5 | 12 | 24 | 9 | 1 | 4 | 4 | 7:10 | -3 | 7 |
| 5 კოლხეთი | 18 | 9 | 3 | 6 | 28:26 | 2 | 30 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:11 | 10 | 22 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:15 | -8 | 8 |
| 6 დინამო | 18 | 8 | 4 | 6 | 29:18 | 11 | 28 | 9 | 3 | 4 | 2 | 18:11 | 7 | 13 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:7 | 4 | 15 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 18 | 7 | 6 | 5 | 27:23 | 4 | 27 | 9 | 3 | 5 | 1 | 7:7 | 0 | 14 | 9 | 4 | 1 | 4 | 20:16 | 4 | 13 |
| 8 სიონი | 18 | 6 | 4 | 8 | 16:24 | -8 | 22 | 9 | 5 | 1 | 3 | 12:11 | 1 | 16 | 9 | 1 | 3 | 5 | 4:13 | -9 | 6 |
| 9 გურია | 18 | 3 | 6 | 9 | 14:30 | -16 | 15 | 9 | 2 | 4 | 3 | 6:11 | -5 | 10 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:19 | -11 | 5 |
| 10 მეტალურგი | 18 | 2 | 6 | 10 | 10:34 | -24 | 12 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 8 | 9 | 0 | 4 | 5 | 4:20 | -16 | 4 |
| 11 გორდა | 18 | 2 | 4 | 12 | 15:35 | -20 | 10 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 7 | 9 | 0 | 3 | 6 | 6:19 | -13 | 3 |
| 12 სამგურალი | 18 | 2 | 4 | 12 | 14:36 | -22 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:13 | -2 | 9 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:23 | -20 | 1 |


სარბიელი სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

## ტორპედო (ქუთაისი)

წავიდა: შენგელია (აპოლონი, ლიმასოლი), იმედაძე (ალანია, ვლადიკავკაზი), ლ. ჭელიძე, ასათიანი (დინამო, კიევი), გუჩუა (ტრანსფერზეა)

მოვიდა: ტოგონიძე (ტომი, ტომსკი), რაფაელოვი (აკადემია), მალანია, ძაგნიძე (ლოკომოტივი)

*შეიკრიბა 22 დეკემბერს*

**სეზონისწინა შეხვედრები**

22-28 დეკემბერი — „ბენდელას თასი"
5-26 იანვარი — მოსკოვი, „ესენგეს თასი"
10-26 თებერვალი — თურქმენეთი, „თურქმენბაშის თასი"

**ესენგეს თასი**

ტორპედო 3:1 რუსეთი (ახალგაზრდული ნაკრები)
0:3 სკონტო (ლატვია)
2:1 ჟენისი (ყაზახეთი)
1:3 სპარტაკი (მოსკოვი)

**თურქმენბაშის თასი**

ტორპედო 0:0 ფლორა (ტალინი)
2:1 ცსკა (კიევი)
0:0 ატლანტა (კლაიპედა)
1:1 (4:3 პ) თურქმენეთი (კლუბების ნაკრები)

ტორპედო 1:1 სამგურალი

**მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი**

## ლოკომოტივი (თბილისი)

წავიდა: დ. ჯანაშია (ბათუმი), ანჩაბაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (გორდა), ბაქრაძე (მეტალურგი), გილაური (კლუბმა გაათავისუფლა)

მოვიდა: დავითაშვილი (მერანი), ქარდავა (დინამო 2), ორბელაძე (გურია), ძოძუაშვილი (ტრავმის გამო არ თამაშობდა), სირაძე (ერზურუმსფორი)

*შეიკრიბა 5 იანვარს*

**სეზონისწინა შეხვედრები**

1-21 თებერვალი, კვიპროსი

ლოკომოტივი 2:2 დინამო (მოსკოვი)
1:1 ალანია (ვლადიკავკაზი)
1:4 ზემუნი (იუგოსლავია)
0:2 ზილინა (სლოვაკეთი)
1:0 რადა (იუგოსლავია)

ლოკომოტივი 1:1 დილა
1:2, 4:1 გორდა
2:0 თსუ

**მწვრთნელი: კახა ცხადაძე**

## მერანი (თბილისი)

წავიდა: დავითაშვილი (ლოკომოტივი), ცქიფურიშვილი (გორდა), გაგუა (აგიოს, ნიკოლაოსი), დევაძე (ტრანსფერზეა)

მოვიდა: კ. მეტრეველი (გურია), ფირცხალაიშვილი (მეტალურგი), გაბიდაური (დინამო), კაკაშვილი (ტრავმის გამო არ თამაშობდა)

**სეზონისწინა შეხვედრები**

მერანი 1:2 დილა
1:1, 0:3 თსუ
1:1 გორდა
2:2 შაფა (აზერბაიჯანი)
0:0 დინამო 2
0:0 მეტალურგი

**მწვრთნელი: ოთარ გაბელია**

## ბათუმი

წავიდა: ხუჯაძე (აგიოს, ნიკოლაოსი), სიხარულიძე (ქობულეთი)

მოვიდა: დ. ჯანაშია (ლოკომოტივი), გვიანიძე (ნივა, ტერნოპოლი), ი. მახარაძე (არ თამაშობდა)

*შეიკრიბა 5 იანვარს*

**სეზონისწინა შეხვედრები**

19-29 იანვარი, ბაკურიანი
3-22 თებერვალი, ბულგარეთი

ბათუმი 1:1 ლოვიკო (სუპინდოლი)
0:0, 1:0 ლოკომოტივი (ტრნიავა)
1:2 ბოტევი (პლოვდივი)
0:0 იანტრა ()

ბათუმი 0:1 ქობულეთი
1:3 თსუ
1:3 კოლხეთი

**მწვრთნელი: ასლან ბალაძე**

## კოლხეთი (ფოთი)

წავიდა: მიქელთაძე (სამტრედია), ვართაგავა (ხობი), მუმლაძე (სპარტაკი, სუმი)

მოვიდა: თ. ოდიკაძე (გურია), დაუშვილი (სიონი), კალანდაძე (ქობულეთი)

*შეიკრიბა 8 იანვარს*

**სეზონისწინა შეხვედრები**

23 თებერვალი — 1 მარტი, ჩაქვი

კოლხეთი 3:1 ბათუმი
0:1, 1:1 ქობულეთი
0:0, 3:1, 1:1 თსუ
2:1 სამგურალი

**მწვრთნელი: სოსო ფილია**

## დინამო (თბილისი)

წავიდა: ბათიაშვილი (გორდა), გაბიდაური (მერანი), თუთარაშვილი (ვიტ ჯორჯია), ხუციშვილი (კალამატა, საბერძნეთი), გრიშიკაშვილი, იაგორაშვილი, აფციაური (ტრანსფერზე არიან), ზირაქიშვილი, ა. სახვაძე (?)

მოვიდა: ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია), კარლოსი (კორინთიანსი, ალაგუანო), სამხარაძე (კარლსრუე ამატორი, გერმანია)

*შეიკრიბა 6 იანვარს*

**სეზონისწინა შეხვედრები**

15-30 იანვარი, კვიპროსი

დინამო 1:1 დინამო (მოსკოვი)
1:1 ბრნო (ჩეხეთი)
1:2 დინამო (სანკტ პეტერბურგი) *(თამაში მესამოცე წუთზე შეწყდა)*
1:5 ლოკომოტივი (სოფია)
3:1, 2:2 ფაკელი (ვორონეჟი)
3:1 გაზპრომი (იჟევსკი)

**2-20 თებერვალი, იტალია, „ნორჩას თასი"**

დინამო 1:0 უმბრიის ნაკრები
1:1 ჩუკარიჩკი (იუგოსლავია)
0:1 ტავრია (სიმფეროპოლი)

იტალია, ფალონია

დინამო 0:1 ჟეველონი (პოლონეთი)

დინამო 2:0 სიონი

**მწვრთნელი: ივო შუშაკი**

# დინამოს კარში შინაური ჩადგა

**შოტლანდიური** „ჰიბერნიანიდან" გამობრუნებულმა დავით გვარამაძემ ქუთაისის „ტორპედოც" დატოვა და თბილისის „დინამოში" გადაბარგდა. საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარეს მცირე ფორმალობებიღა დარჩა გასარკვევი სრულ გადინამოელებამდე.



დავით გვარამაძე

— ეს საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია. გვარამაძე ქუთაისის „ტორპედოდან" საბოლოოდ გამოვისყიდეთ. კონტრაქტის ვადაზე თავად ფეხბურთელთან შევთანხმდებით. რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელობა მისი დასახელებისგან თავს იკავებს. ეს კონფიდენციალური საკითხია — გვითხრა გუშინ „დინამოს" პრესატაშე დავით ერაძემ.

ასე რომ, ალექსანდრე გოგობერიშვილის, გიორგი ანჩაბაძის, ირაკლი სამხარაძისა და ბრაზილიელი კარლოსის შემდეგ „დინამო" კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა. თუმც შესაძლოა, გვარამაძეს არჩილ სახვაძემაც მიბაძოს. ცოტა ხნის წინ 23 წლის განაპირა მცველი კიევის „დინამოში" ისინჯებოდა, მაგრამ უკრაინელებს თავი ვერ მოაწონა და არ არის გამორიცხული, კვლავაც მშობლიურ კლუბში გააგრძელოს თამაში.

დავით ერაძემ ისიც გვითხრა, რუსული „როსტსელმაშიდან" გაშვებული ოთარ ხიზანეიშვილის „დინამოში" გადმოყვანა კი გვსურს, მაგრამ საამისოდ დროა საჭიროო.

აქვე გეტყვით, რომ 26 წლის დავით გვარამაძეს თბილისის „დინამოში" ალრე ორჯერ უთამაშია, 1991-95 და 1998-99 წლებში.

**კახა ზალამბერიძე**

თბილისი. ეროვნული. 1 მარტი. 15.00 საათი

**დინამო — სამგურალი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; შ. ელიაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

## ვიტ ჯორჯია (თბილისი)

წავიდა: გოგობერიშვილი (დინამო), ბერიშვილი, [illegible]რაცხელია, სულთანიშვილი (თსუ), ახალაძე, [illegible] (?)

მოვიდა: თუთარაშვილი (დინამო), გოცირიძე (გორდა), მელქაძე, დილმელაშვილი (სიენა, იტალია), გველესიანი (არ თამაშობდა), ლ. სანიკიძე, გ. კვახაძე (ვიტ ჯორჯია 2)

*შეიკრიბა 26 დეკემბერს*

**სეზონისწინა შეხვედრები**

16-26 იანვარი, ბაკურიანი
1-22 თებერვალი, ანთალია

ვიტ ჯორჯია 0:1 ბატე (ბორისოვო)
1:0 ვორსკლა (უკრაინა)
0:1 მეტალურგი (ზაპოროჟიე)
0:2 ლოკომოტივი (ჩიტა)
2:1 სლოგა (მაკედონია)

ვიტ ჯორჯია 2:0 ლოკომოტივი 2

**მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა**

## სიონი (ბოლნისი)

წავიდა: დაუშვილი (კოლხეთი), ამბიძე (აელ, კვიპროსი), ირემაშვილი (ტრავმირებულია), შ. ლაცაბიძე (?)

მოვიდა: ბურნაძე (გორდა), ნინუა (მილანი), გაბისკირია (სპარტაკი, ნალჩიკი), გიორგი ქორიძე (არადიპუ, კვიპროსი), ხუჭუა (გურია)

*შეიკრიბა 15 იანვარს*

**სეზონისწინა შეხვედრები**

6-20 თებერვალი, თბილისი

სიონი 1:0 დინამო 2
1:2 გორდა
0:0 მაუდი
4:0 ცხუმი
1:1 მცხეთა
0:3 მეტალურგი
0:2 დინამო

**მწვრთნელი: თემურ მახარაძე**

## გურია (ლანჩხუთი)

წავიდა: სულაკაძე, გაბრიჭიძე, ენდელაძე, კაციაშვილი (მეტალურგი), ხუჭუა (სიონი) ორბელაძე (ლოკომოტივი), თ. ოდიკაძე (კოლხეთი), კ. მეტრეველი (მერანი), ებრალიძე (გორდა), პატარაია (ვინიცა, უკრაინა), მარლიშვილი, გ. დოლიძე (?), ნარიაშვილი (მთ. მწვრთნელი)

**მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაიშვილი**

## მეტალურგი (ზესტაფონი)

წავიდა: ფირცხალაიშვილი (მერანი), თავბერიძე (გორდა), შეყრილაძე (სამგურალი), ამაშუკელი (?, გერმანია), ხმალაძე (გორდა)

მოვიდა: სულაკაძე, ენდელაძე, გაბრიჭიძე, კაციაშვილი (გურია), ბაქრაძე (ლოკომოტივი), ლაბაძე, ვარდიაშვილი, ჭოხონელიძე (თორი)

*შეიკრიბა 16 იანვარს*

**სეზონისწინა შეხვედრები**

1-15 თებერვალს თბილისში ემზადებოდა.

მეტალურგი 2:2 სამგურალი
0:0 მერანი
3:0 სიონი

**მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე**

## სამგურალი (წყალტუბო)

წავიდა: გ.ა. მიქაძე (თსუ), ვარდანიძე (?)

მოვიდა: შეყრილაძე, ჭყონია (მეტალურგი), ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), ნიქარიშვილი (მწვრთნელის თანაშემწე)

**სეზონისწინა შეხვედრები**

სამგურალი 1:2 კოლხეთი
1:1 ტორპედო
2:2 მეტალურგი

**მწვრთნელი: გია გიგატაძე**

## გორდა (რუსთავი)

წავიდა: ბურნაძე (სიონი), ჩაჩუა (ნივა, უკრაინა), გ. გ. მიქაძე (?, ბულგარეთი), ალადაშვილი, პეტრიაშვილი (?)

მოვიდა: ბათიაშვილი (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ებრალიძე (გურია), თავბერიძე (მეტალურგი)

**სეზონისწინა შეხვედრები**

გორდა 2:1 თსუ
0:2 დილა
2:1 სიონი
0:0 შაფა (აზერბაიჯანი)
0:2 თსუ
1:1 მერანი
2:1, 1:4 ლოკომოტივი

**მწვრთნელი: თენგიზ კაცია**

# ჩვენ რა, ზანგები ვართ?! ფედერაციას შესაძლოა ამ სიტყვებით მიადგნენ

## ამ ქეიფზე აწყობილ ქვეყანაში ერთი კაი პურის ჭამა სამართალსაც ეკუთვნის



მერაბ ჟორდანია

**27 ოქტომბერი.** ფოთი. მეცამეტე ტურის „კოლხეთი" — „ტორპედო". მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა და ახლა, ჩემპიონატის განახლებამდე კვლავაც ამ გახმაურებული შეხვედრის გახსენება გვიხდება.

ეს თამაში ჩაწყობილი იყო, უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი, შედეგი წინასწარ გარიგებული — ამგვარი ფრაზა „კოლხეთი" — „ტორპედოს" მატჩის დამთავრების შემდეგ ფედერაციით დაწყებული და ქომაგებით დამთავრებული, ქართულ საფეხბურთო სამყაროში მოტრიალე ჩინიანსა თუ უჩინოს ყველას პირზე ეკერა.

მოგვიანებით, 20 დეკემბერს, ეს მატჩი ფედერაციის ალმასკომის გაფართოებული სხდომის მთავარი თემა გახდა. სწორედ „კოლხეთი" — „ტორპედოთი" დაიწყო და მერე სხვა მსგავსი სცენარის თამაშებზეც გაგრძელდა სიტყვა. თითქმის ორ საათს მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ერთმანეთს ედავებოდნენ კლუბების პრეზიდენტები, ზოგიც ცდილობდა, თავი ანგელოზად წარმოეჩინა, თუმც გასარკვევი მაინც ვერ გაირკვა და არც დასასჯელი დასჯილა.

„გთხოვთ, რომ უფლებები გამიფართოოთ. ჩაწყობილი თამაშების მსგავსი შემთხვევებისას დამოუკიდებლად მივიღებ გადაწყვეტილებას და გარწმუნებთ, ისეთ მკაცრ განაჩენს გამოვიტან, ბევრს გარიგების სურვილი სამუდამოდ დაეკარგება" — ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ეს თქვა და ალმასკომიც უყოყმანოდ დათანხმდა. პრეზიდენტს უფლებები გაუფართოვდა, თუმც მერაბ ჟორდანიას ალმასკომის წევრების ასეთი ხელგაშლილობით ჯერ არ უსარგებლია. სიტყვა კი მაშინვე თქვა — „კოლხეთ" — „ტორპედოს" კონკრეტულ მატჩზე გადაწყვეტილებას ჩემპიონატის განახლებამდე მივიღებ და ორივე გუნდს სასტიკად დავსჯიო.

ჩემპიონატი კი იწყება და პრეზიდენტისგან ჯერაც არაფერი ისმის. ის შვეიცარიაშია და თბილისში, როგორც ვიცით, უახლოეს დღეებში უნდა დაბრუნდეს. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ კი ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე თქვა, „კოლხეთ" — „ტორპედოს" გახმაურებული მატჩზე გადაწყვეტილებას ჩემპიონატის განახლებამდე აუცილებლად გამოვაცხადებთო. გენერალურ მდივანს პრეზიდენტთან ტელეფონით უსაუბრია და შეთანხმებულან, რომ უარეს შემთხვევაში მათი გადაწყვეტილება 2 მარტის მატჩებამდე რამდენიმე წუთით ადრე მაინც გახდება ცნობილი.

2 მარტი ხვალ არის, მატჩები სამ საათზე უნდა დაიწყოს. ერთი შეხვედრა, „დინამო" — „სამგურალი" კი დიდი რაგბის გამო დღეს გაიმართება. თუმც ეგ არაფერი, კალენდრით ჩემპიონატის დაწყება სწორედ ხვალისთვის იგეგმებოდა.

საკითხავი ერთიცაა. რატომღაც ცუდად გვენიშნა ზემოხსენებულ დეკემბრის ალმასკომზე ზოგიერთების განცხადება, აქაოდა, ნოემბრის „კოლხეთ" — „ტორპედოდან" თვეზე მეტი გავიდა, უკვე ჩავლილი ამბავია და უკან ნულარ მივუბრუნდებითო. მაშინ ფოთის მატჩი ერთი თვის ჩატარებული იყო, ახლა ის დღე 4 თვის მოტოვებულია და ხომ არ ვიფიქროთ, რომ „კოლხეთსაც" და „ტორპედოსაც" ეს საქმე ხაზვივით შერჩებათ? სადაც ამდენი, იქ ხვალამდეც მოვიცადოთ.

და თუ „კოლხეთი" და „ტორპედო" დაუსჯელნი დარჩნენ, მერე გავიხსენოთ „გორდა" — „სიონი", „მერანი" — „კოლხეთი"...

**ქობა ინასარიძე**

# ასლანი არ იკადრებს

## ხუჯაძემ საბერძნეთში უნებართვოდ გაიტანა

*თუ რომელიმე ქართული კლუბი უცხოური შეკრებით მოიწონებს თავს, ერთ-ერთი მათგანი „ბათუმია". ერთი კვირაა, რაც ბათუმელები ბულგარეთიდან დაბრუნდნენ. ასლან ბალაძის შეგირდები ქალაქ ტრიავნაში ემზადებოდნენ საგაზაფხულო ეტაპისთვის და რამდენიმე საკონტროლო მატჩიც ჩაატარეს იქაურ გუნდებთან.*

*ბულგარეთამდე კი ბაკურიანშიც იყვნენ ათდღიან საწვრთნელ შეკრებაზე. ერთი სიტყვით, ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი სრულყოფილად მოემზადა და სერიოზული მიზნებიც დაისახა.*

*გუშინწინ* **ასლან ბალაძეს** *ბათუმში დავუკავშირდით. მან რამდენიმე შეკითხვაზე გვიპასუხა.*



ასლან ბალაძე

— ბულგარული შეკრებით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ბიჭებს ყველაფერი ჰქონდათ ნორმალურად მოსამზადებლად.

რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ჩავატარეთ. განსაკუთრებით გამოვყოფ პლოვდივის „ბოტევთან" შეხვედრას, რომელიც მართალია, 0:2 წავაგეთ, მაგრამ უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

**— ბულგარეთში რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმას უჩიოდა...**

—ამჟამად ყველაფერი კარგადაა. ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. საბედნიეროდ, ტრავმა არავის აწუხებს.

**— ახალწვეულებით კმაყოფილი ხართ?**

— ავთანდილ გვიანიძეც და დავით ჯანაშიაც გამოცდილი ფეხბურთელები არიან. ამიტომაც გადავწყვიტეთ მათი დამატება. მათ მოსამზადებელი ეტაპიც გაიარეს გუნდთან ერთად. იმედი მაქვს, დიდ დახმარებას გაგვიწევენ. ორივე „ბათუმის" სრულუფლებიანი წევრია. ყველანაირი ფორმალური მხარე მოგვარებულია.

**— შალვა ხუჯაძის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა?**

— ეს საკითხი ჯერაც გაურკვეველია. შალვა ახლაც საბერძნეთშია. იქ თამაშობს და გოლიც გაუტანია, ოღონდ, საქმე ისაა, რომ „ბათუმის" ხელმძღვანელები მის ტრანსფერზე ბერძნებთან არ შეთანხმებულან.

**— ჩემპიონატი სადაცაა განახლდება. ხელმძღვანელობა მიზნებს უკვე დაგისახავდათ. რა შედეგი ჩაითვლება „ბათუმისთვის" წარმატებად?**

— ჩვენი უპირველესი ამოცანა ზეექვსეულში მოხვედრაა. ეს არის „ბათუმის" პროგრამა-მინიმუმი. მაქსიმუმი კი რომელიმე ევროტურნირის საგზურის მოპოვებაა.

პირველი ეტაპის დარჩენილ ოთხ მატჩში მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, კარგ შედეგს მივაღწიოთ და პირველ ექვსეულში მოვხვდეთ. დანარჩენზე მერე ვიფიქრებთ. უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. „ბათუმი" არაა ის გუნდი, თავი ქუდში დაიგულოს და მერე რაღაც „მაიმუნობები" გააკეთოს. ეს არასდროს გვიკადრებია და მუდამ ასე იქნება.

**— „დინამოს" სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. ამ მხრივ რა ვითარებაა?**

— სამუშაოები დროებით შეჩერებული იყო, თუმც ახლა განახლდა. ამ მხრივ საქმე მართლაც რთულადაა, მაგრამ იმედია, გასახდელები და საშხაპეები ჩემპიონატის დაწყებამდე მზად იქნება. ფეხბურთის ფედერაციამ დრო მოგვცა და, ალბათ, ამას მოევლება. სავარაუდოდ, სარეკონსტრუქციო სამუშაოები მაისამდე დასრულდება.

**ბახა შალამბერიძე**

# ლოკომოტივმა ორი კურდღელი დაკარგა, ცხადაძემ ფრთები გაშალა

## ექსკაპიტანმა ნაკრებისთვის ჯანი შეინახა



*საქართველოს ვიცე-ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" სამკვირიანი კვიპროსული შეკრებიდან თბილისში წინა პარასკევს დაბრუნდა. გუნდმა ერთი დღე დაისვენა და მზადება ღილოდში, თავის საწვრთნელ ბაზაზე გააგრძელა.*

*ჩემპიონატს „ლოკომოტივი" აჭარაში განაახლებს. ხვალ რკინიგზელები გაჭირვებით გამოზამთრებულ, დაშლას გადარჩენილ „მერანს" ესტუმრებიან. დღესდღეობით „ლოკომოტივს" „მერანი" შვიდი ქულით ჰყავს მოტოვებული, თავად კი ლიდერ „ტორპედოს" ხუთით ჩამორჩება, თუმც მეორე ეტაპს გუნდები განახევრებული ქულებით დაიწყებენ და მათ შორის სხვაობაც თავისთავად შემცირდება. „ლოკომოტივი", შარშანდელივით, წლეულსაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, მაგრამ ჩანს, ქუთაისელთა ძლევა გაუჭირდება — მწვრთნელ* **კახა ცხადაძის** *გუნდიდან გიორგი ანჩაბაძის წასვლამ მნიშვნელოვანი პრობლემა შეუქმნა და შემოდგომაზე აწყობილი ტაქტიკური სქემა, ფაქტობრივად, მოუშალა.*

— გუნდის თამაში აქამდე მთლიანად ანჩაბაძეს მიჰყავდა. თითქმის ყველა შეტევა მისგან იწყებოდა და მატჩში დაახლოებით ათ მომენტს ვქმნიდით — გვითხრა „ლოკომოტივის" მოთამაშე-მწვრთნელმა კახა ცხადაძემ, რომელსაც გუშინ შინ ვესტუმრეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ — ამ ათ მომენტს ერთხელ მაინც მოჰყვებოდა გოლი. ახლა კი ამასაც ვერ შევძლებთ. ანჩაბაძე ჩვენთვის დიდი ძალა იყო. მას „ლოკომოტივთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და გავუშვით, „დინამომ" უკეთესი პირობები შესთავაზა. „დინამო" ახლა ფინანსურად ყველაზე ძლიერი კლუბია.

**— ანჩაბაძის წასვლით „ლოკომოტივის" მრავალჯერ ნაცადი ტაქტიკური სქემა, ალბათ, შეიცვლება.**

— რა თქმა უნდა, შეიცვლება და დღესდღეობით „ლოკომოტივის" ყველაზე დიდი პრობლემა ეს არის. კვიპროსზე ყოფნისას ნაირ-ნაირი ტაქტიკური ვარიანტები კი მოვსინჯეთ, მაგრამ მთლად ოპტიმალურს ვერ მივაგენით, გამთამაშებლის გარეშე დავრჩით და ამის კომპენსირებას გუნდური თამაშის ხარჯზე შევეცდებით.

**— აქამდე „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ნაკლი სწორედ საგოლე მომენტების გამოუყენებლობა იყო. თანაც ამ მომენტების უმრავლესობას ანჩაბაძე ჰქმნიდა. გამოდის, მისი წასვლის შემდეგ გოლი ვეღარ გაგიტანიათ.**

— „ლოკომოტივში" თავდასხმა ყოველთვის მოისუსტებდა. თუმც ამ მხრივ არც სხვა გუნდებშია საქმე კარგად, „ვიტ ჯორჯიას" თუ არ ჩავთვლით. თავდასხმაში, ვფიქრობ, ყველა გუნდს პრობლემა ექნება. „ვიტ ჯორჯიას" კი მელქაძე გააძლიერებს.

ჩვენ სწრაფი ფორვარდი რუსია დაგვიბრუნდება, რომელსაც ფაქტობრივად წელიწადია, არ უთამაშია. ის უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას იბრუნებს. სისწრაფე არც გოგიჩაიშვილს დაეწუნება და დარწმუნებული ვარ, ისინი მეტოქეებს ფლანგებზე ბევრ თავსატეხს გაუჩენენ.

**— ეხე იგი, გარემარბებით ითამაშებთ?**

— დიახ, გარემარბებით, ოღონდ ყოველთვის არა.

**— კაიდარაშვილი არ გიხსენებიათ.**

— ამ ბიჭს კარგი ფორვარდისთვის დამახასიათებელი ყველა მონაცემი აქვს, მაგრამ არასტაბილურია, ყოველთვის ერთ დონეზე ვერ თამაშობს.

**— „ლოკომოტივში" შედარებით ძლიერ რგოლად დაცვა ითვლება?**

— დაცვა და, ანჩაბაძის წასვლის მიუხედავად, ნახევარდაცვა. გელა ქორიძე და ჭიჭველიშვილი კარგ ფორმაში არიან და თავიანთი სიძლიერე კვიპროსზეც დაამტკიცეს. არც ონიანის მომზადების დონით ვარ უკმაყოფილო. სირაძე კი, რომელიც ამ ზამთარს დავიმატეთ, ვფიქრობ, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელია და ადგილს ძირითად შემადგენლობაშიც ვანდობ. დაცვაში დიდი კონკურენციაა, ბევრი მცველი გვყავს და პირდაპირ ვიტყვი, დავითნიძესა და ლაცაბიძეს ძირითადში მოხვედრა გაუჭირდებათ. სამაგიეროდ, კიდევ ერთი პერსპექტიული ბიჭი, მანჩხავა შევიმატეთ. დაცვას ისიც გაგვიძლიერებს.

**— მცველებს თქვენც დაემატებით...**

— ვფიქრობ, მეც კარგად ვარ მომზადებული.

**— და საქართველოს ნაკრებშიც აპირებთ დაბრუნებას?**

— რატომაც არა. ჯანი კიდევ შემრჩა და ვეცდები, ნაკრების მწვრთნელების ყურადღება დავიმსახურო. ჩემი გამოცდილებით შემიძლია, ეროვნულ ნაკრებს დავეხმარო. ნაკრებზე სერიოზულად ვფიქრობ.

**— ანჩაბაძის წასვლის შემდეგ „ლოკომოტივის" ლიდერად გოგიჩაიშვილი წარმოგიდგენიათ?**

— დიახ. ის „ლოკომოტივში" ყოველთვის გამოირჩეოდა.

**— ლიდერის თვისებები სხვა რომელ ფეხბურთელს აქვს?**

— სირაძესა და სალუქვაძეს, ოღონდ მათ, ცხადია, გამოცდილება აკლიათ.

**— როგორ ფიქრობთ, ჩემპიონატის პირველ ექვსეულში მოხვედრა „ტორპედოსა" და „ლოკომოტივის" გარდა რომელ გუნდს არ გაუჭირდება?**

— „ტორპედოს", „მერანს", „ბათუმსა" და ჩვენ ექვსეულში ადგილს ვერ დაგვაკარგვინებენ. „კოლხეთს", „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" შორის ნაკლები შანსი კი, ადრეც მითქვამს, ვიტელებს აქვთ. თუმც მელქაძე-დიდმელაშვილის დამატებით ისინი ძალიან გაძლიერდებიან. ხვალ „ტორპედოსთან" მატჩი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თბილისელებმა თუ მოიგეს, ექვსეულში მოსახვედრად კარგი შანსი მიეცემათ.

**— „დინამო" არ დარჩება ზეექვსეულს მიღმა?**

— არა მგონია. ანჩაბაძის გადაბირებით მათ ორი კურდღელი დაიჭირეს, ჩვენ დაგვასუსტეს, თავად კი ასეთი დონის ფეხბურთელით გაძლიერდნენ. ანჩაბაძე-გოგობერიშვილი უკვე დიდი ძალაა, თანაც „დინამოში" სტაბილური ფინანსური მდგომარეობაა.

**— მწვრთნელობისა და ფეხბურთელობის შეთავსება არ გაგიჭირდებათ?**

— სხვათა შორის, მოედანზე ყოფნისას ფსიქოლოგიურად ნაკლებ დატვირთული ვარ. როცა ვთამაშობ, ჩემი თანაშემწე ზაურ სვანაძე ყველა შეცდომას ინიშნავს და შესვენებისას თავის შენიშვნებს მიზიარებს-ხოლმე. მერე შესაბამის დარიგებას ვაძლევთ ფეხბურთელებს. შეცვლები კი მხოლოდ ჩემი მითითებების შემდეგ კეთდება.

**— ძნელი ყოფილა მწვრთნელობა? თითქმის წელიწადია, „ლოკომოტივს" თავკაცი ბრძანდებით.**

— ძნელი ყოფილა, თანაც ძალიან საინტერესო. თავიდან, რა თქმა უნდა, ხშირად ვცდებოდი, თუმც ვცდილობ, ყველაფერი გამოვასწორო. ვსწავლობ და, მგონი, წინგადადგმული ნაბიჯია, რომ ვახერხებ, თამაშის დროს ტაქტიკა გუნდის სასარგებლოდ შევცვალო.

**ქობა ინასარიძე**

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. C ჯგუფი

# ამაყი ულვაში

## სერხიო მარკარიანი არ არის თავქარიანი

**პორტუ 1:2 რეალი**

0:1 სოლარი (6), 0:2 ელგერა (19), 1:2 ნუნუ კაპუშუ (26)
პორტუ: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, რიკარდუ (ალენიჩევი 67), ჟორჟე ანდრადე, მარიუ სილვა, პაულინიო, კანდიდუ კოშტა (კლეიტონი 55), პავლინი, დეკო სოუზა, პოსტიგა (პენა 66), ნუნუ კაპუშუ
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
რეალი: სესარი, მინამბრესი, კარანკა (სელადესი 46), იერო, პავონი, ბრავო (სალგადო 75), კონსეისაო, ელგერა, მაკმანამანი (მორიენტესი 63), გუტი, სოლარი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: პავონი, პავლინი, პარედესი, მორიენტესი, მარიუ სილვა
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
37 000 მაყურებელი

**ძალლი** რომ მის ცხვირწინ მობზუილე მწერის შესანსვლას ლამობს, გინახავთ, ალბათ. ჰოდა, „პორტუს" ამბავიც ასეა. რამდენჯერ გაიზუზუნა ბურთმა მადრიდელთა მეკარე სესარის კარის სიახლოვეს, მაგრამ ამაოდ, ვერა და ვერ ჩაუსაფრდნენ მასპინძლები საგოლედ. თვითონ ფეხბურთელებს ეძინებოდათ თუ ბურთი დაქროდა უფრო ლაღად, ეს ჟოზე მაურინიუმ გაარკვიოს.

მოდი და ნუ გაგეცინება, როცა გაგახსენდება, რომ პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „პორტუმ" „ბეირა მართან" წააგო და თან სამი გოლიც გაუშვა. ატყდა გნიასი ფეხბურთის მცოდნეთა შორის, „რეალთან" საომრად ემზადება და მაგარ-მაგარი ბიჭები დაასვენესო. საკვირველი კია, „ბეირა მართან" თუ წააგო, მადრიდის „რეალს" ეგრე იოლად მოუგებდა? არგუმენტები კი იცოცხლე, მყარი ჰქონდათ — მთავარი სამეფო ფეხბურთელები ისვენებენო. რა დასვენება, რის მხართეძოზე წამოწოლა, იერო, კონსეისაო, ელგერა, მაკმანამანი და გუტი ბუმბულის გასარჩევად ჩავიდნენ პორტუში?

პიერლუიჯი კოლინას სასტვენის ხმა სადღაც პირველ-მეორე იარუსებს შორის დანავარდობდა, როცა სანტიაგო სოლარიმ შეაგდო. შეძრწუნდნენ მასპინძლები. მათ ხომ გამარჯვება უცილობლად სჭირდებოდათ. „პორტუმ" ცოტა ტემპს უმატა, სტუმრებს ფლანგების სიმტკიცე მოუსინჯა, მაგრამ სულ მალე მეორე გოლი იხილა საკუთარ კარში. ვიტორ ბაიას ჯანმა უგანა, ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და ელგერამაც არ აპატია.


REUTERS [illegible]

პორტუ — რეალი. მადრიდელთა მეკარე სესარს საქმე არ გამოლევია

პირველივე ტაიმში ნუნუ კაპუშუმ ერთი კი აფიქრებინა თვისტომთ, თამაშს შემოვაბრუნებთო, მაგრამ აზდენა არ ეწერათ.

მეორე ტაიმში ჟოზე მაურინიუმ ცვლილებებს მიმართა, თუმცა ყველა მისი შეგირდი იმ დღეს რაღაც მონუსხულ-მოჯადოებული გახლდათ. „დღეს რაღაც უიღბლობამ დაგვრია ხელი — თქვა მწვრთნელმა — უამრავი ასპროცენტიანი საგოლე მომენტის გამოყენება ვერ შევძელით". მისი კოლეგა ვისენტე დელ ბოსკე კი, რა თქმა უნდა, სიამოვნებისგან ულვაშს აცმაცუნებდა, პრიმერადივიზიონშიც ასე უნდა გავაგრძელოთო, თქვა მან, „რეალი" კი პირველი მეოთხედფინალისტია.

**პანათინაიკოსი 2:1 სპარტა**

1:0, 2:0 კონსტანტინუ (16, 47), 2:1 კლეინი (89)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, გუმასი, მიკაელსენი (გალეტო 62), სარიჩი, კირიაკოსი, პიცოსი (იარნი 75), კონსტანტინუ (კოლკა 82), ბასინასი, ლიბეროპულოსი, კარაგუნისი
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
სპარტა: ჩეხი, ფლახბარტი, ზელენკა, ირჟი ნოვოტნი, კინცლი, მიხალიკი, სიონკო, იაროშიკი, ტ. ჩიჟეკი, მინარი, ზაბადილი (კლეინი 38)
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
გაფრთხილება: ბასინასი, მინარი, მიკაელსენი, კონსტანტინუ
მსაჯი: რატისლავ მიხალიკი (სლოვაკეთი)
17 500 მაყურებელი

**მაგარი კაცია** სერხიო მარქარიანის [illegible]ლიდან წალებულ სამ ქულას „პანათინაიკოსმა" ერთი გამარჯვება, თავისი სამი ქულით, ათენშიც მიაყოლა. ბერძენი გულშემატკივრების ამბავიც მოგეხსენებათ — იგრძნეს, რომ გუნდი კარგ ფორმაშია, მოგება ჯგუფიდან გასვლის შანსს ერთიორად უზრდის და გაორმაგებული ენერგიით გუგუნებდნენ.

პანათინაიკოსელებს შინ უკან დახევა არ სჩვევიათ, ამიტომაც ჩეხ მეტოქეს, დასაწყისშივე ხან იქიდან შეუჩიჩხინეს, ხან — აქედან და მალევე იგრძნეს, რომ შეტევა ცენტრიდან უფრო ადვილი იქნებოდა.

კარგი სანახავი გამოდგა პირველი გოლი „სპარტას" კარში. ორი მცველის გარემოცვაში მყოფმა კონსტანტინუმ საჯარიმოსკენ იბრუნა პირი და უკანმოუხედავად მოუსვა. საჯარიმოში უეცრად შეჭრილს კი ბურთი ფეხზე ფიფქივით დააჯდა, მარჯვენა დაჰკრა და ტრიბუნები ააფეთქა.

ასეთ, ბრწყინვალე ხასიათზე მყოფი მასპინძლების ზეწოლას სტუმრები ძლივს უმკლავდებოდნენ, თუმცა ერთიორჯერ სცადეს კიდეც ნიკოპოლიდისის შეწუხება.

შესვენების მერე ბურთაობა განახლდა და ისევ კონსტანტინუმ იმარჯვა. მეგოლე დროულად შეერია საჯარიმოში მყოფთ და ჩაკიდებულ ბურთს თავით ზუსტად დაჰკრა.

იაროსლავ ჰრებიკი განერვიულდა და პირით ხაზთან ვიზიტებს უმატა. მეოთხე მსაჯმაც რამდენჯერმე მოწიწებით სთხოვა, დაბრძანდით, ნუ ნერვიულობთო. ჰრებიკმა დარიგება არ ისმინა და შარსაც გადაეყარა. შარი, ანუ არბიტრი რატისლავ მიხალიკი, უმალ აღიმართა მის წინ და როგორც დამრიგებელი მესამე კლასის ოროსან მოსწავლეს, ისე დაელაპარაკა. იაროსლავ ჰრებიკი დამნაშავესავით, წყნარად გაემართა სკამისკენ. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ რატისლავ მიხალიკი სლოვაკია. ერთ დროს კი ჩეხეთ-სლოვაკეთი სოციალისტურად იყვნენ ჩახუტებულები.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| სპარტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| პორტუ | 4 | 0 | 1 | 3 | 1:3 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. D ჯგუფი

# ევროპაში მწვრთნელებს ამის არ რცხვენიათ: აღიარებენ და სწავლობენ

**დეპორტივო 2:0 იუვენტუსი**

1:0 ტრისტანი (8), 2:0 ჯალმინია (77)
დეპორტივო: მოლინა, სკალონი, ნაიბეტი, სეზარი (კაპდევილა 85), რომერო, მაურო სილვა, ვალერონი (ჯალმინია 70), სერხიო, ვიქტორი (დუშერი 60), ფრანი, ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, მონტერო (დავიდსი 46), თულიანო, პესოტო, ტაკინარდი (ზალაიეტა 68), ნედვედი, მარესკა (კონტე 46), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: თულიანო, დავიდსი, დავიდსი, ფერარა
გაძევება: დავიდსი (74)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
33 000 მაყურებელი

**„დეპორტივომ"** „იუვენტუსს" ყოველმხრივ აჯობა და თანხმობის ჯგუფში უთანხმოებაც გამოკვეთა — ლაკორუნიელები ლონდონის „არსენალთან" ერთად დაწინაურდნენ.

შეხვედრის დაწყებისთანავე, მე-8 წუთზე, დიეგო ტრისტანმა თავურით მიაღწია საწადელს, ანგარიში გახსნა, რის მერეც, პირველ ტაიმში მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ გოლების გატანა, მაგრამ ეს საქმე მეორე ტაიმისთვის გადაიდო.

მდგომარეობის გამოსასწორებლად სტუმართა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ შესვენებისას ნახევარდაცვის გაძლიერება განიზრახა, მოედანზე ედგარ დავიდსი და ანტონიო კონტე შეუშვა, თუმცა იმ დღეს „ბებერ ქალბატონს" ზურგის ქარი აკლდა.

დავიდსი, მოგეხსენებათ, ბოლოხანს ძველებურად ფორმაში არ არის, ხოლო, როდესაც დავიდსი ფორმაში არ არის, უხეშობს, კამათობს და ხშირად აძევებენ კიდეც მოედნიდან. სწორედ ეს ნაცნობი სცენარი გათამაშდა „რიასორზეც": 73-ე წუთზე ჰოლანდიელი ნახევარმცველი გააფრთხილეს, მან კი შვედი მსაჯის, ანდერს ფრისკის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლა წამოიწყო და რომ აღარ დაასრულა, ფრისკმა სანქციას მიმართა — დავიდსი გასახდელში დროზე ადრე დააბრუნა. ამან „იუვენტუსის" ბრძოლისუნარიანობა შეასუსტა, მის თამაშს დაღი დაასვა და სამი წუთის შემდეგ ეს ტაბლოზეც აისახა — სერხიოს პასით ჯალმინიამ ჯანლუიჯი ბუფონის კარში მეორე ბურთი გაიტანა.

„მართალია ამ გამარჯვებამ „იუვენტუსთან" და „ბაიერთან" სამი ქულით დაგვაწინაურა, მაგრამ წინ კიდევ დიდი სამუშაოა — განაცხადა პრესკონფერენციაზე „დეპორტივოს" მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ — დღევანდელ გამარჯვებაში კი უდიდესი როლი ჩვენმა გულშემატკივრებმა ითამაშეს. მათ საუცხოო საღამო მოაწყეს და ხილეს კიდეც, როგორ დაამარცხა მათმა გუნდმა ძლიერი მოწინააღმდეგე. სხვათა შორის, ზოგს ჩვენი ჯერ კიდევ არ სჯერა, მაგრამ ამ უნდობლობასაც დავამარცხებთ".

„იუვენტუსის" მწვრთნელი მარჩელო ლიპი: „ახლა ისღა დაგვრჩენია, დარჩენილ ორ თამაშში რაც შეიძლება მეტი ქულა მოვაგროვოთ, მაგრამ ამისთვის დღევანდელისგან ძალიან განსხვავებული თამაში გვჭირდება. სამწუხაროდ, მოედანზე იმ რწმენით გავედით, რომ ძალიან ბევრი რამ შეგვეძლო, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა გაირკვა, რომ კარგად ვერ ვთამაშობთ. ეს ყველაფერი კი ჩემს მიერ თამაშის არასწორად დაგეგმვის ბრალი იყო".

**არსენალი 4:1 ლევერკუზენი**

1:0 პირესი (5), 2:0 ანრი (7), 3:0 ვიეირა (48), 4:0 ბერხკამპი (83), 4:1 სებესკენი (86)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, სტეპანოვსი, კემბელი, ლორენი (ინამოტო 84), პირესი, ვიეირა, გრიმანდი (ედუ 67), ბერხკამპი, ანრი, ვილტორდი (ჟენანტი 90)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლევერკუზენი: ბუტი, ტეკუოჩი (სებესკენი 74), პლასენტე, იენს ნოვოტნი, ლუსიო, რამელო, შნაიდერი (ბაშტურკი 46), ზე რობერტო, ბალაკი, კირსტენი (ბერბატოვი 46), ნოივილი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ბალაკი, ტეკუოჩი, რამელო
მსაჯი: ალან შპრი (ლუქსემბურგი)
35 019 მაყურებელი

**თამაში** რომ დასრულდა ლევერკუზენელთა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა თქვა, დღეს „არსენალმა" ფეხბურთის გაკვეთილი ჩაგვიტარაო. მართლაც, მოედანზე აშკარად გამოჩნდა, რომ ბუნდესლიგის ლიდერს „არსენალთან" გასაჯიბრებლად ჯერ ძალიან ბევრი აკლია. ლონდონელებმა ჩინებულად ითამაშეს და ოთხი ერთიმეორეზე უკეთესი გოლიც გაიტანეს.

„როდესაც ასე მარცხდები, ხვდები, რომ ძალიან მაღალი კლასის მეტოქე გყავდა — თქვა ტოპმიოლერმა — „არსენალმა" ტაქტიკურად საუცხოოდ ითამაშა, ხოლო ვიეირა ყველასგან გამორჩეული ფეხბურთელია. მის შემყურეს აღარ გიკვირს, რომ მისი ყიდვა უამრავ დიდ გუნდს სურს. ერთი სიტყვით, „არსენალისგან" უნდა ისწავლო და მიბაძო. ვიმედოვნებ, რომ ოდესმე ჩვენც შევძლებთ ასე თამაშს".

ხოლო ლონდონელთა მწვრთნელმა, ფრანგმა არსენ ვენგერმა განაცხადა: „ჩვენმა ფეხბურთელებმა ჩინებული გოლები გაიტანეს, მეორე კი უბრალოდ ფანტასტიკის სფეროდან იყო. დღეს მართლაც ყველაფერი ვნახეთ, მოძრაობა, სისწრაფე, ერთშეხებიანი პასები, ტექნიკა და გუნდური სულისკვეთება. ჩინებული გოლი გაიტანა ბერხკამპმაც, თუმცა ჩვენ ისედაც ყველამ ვიცით, რომ დენისს ეს ეხერხება. თამაშის წინ ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო. მთავარი ამოცანა ბურთის შეტევაში სწრაფი გადატანა იყო, რაც შევძელით კიდეც. ახლა „დეპორტივოსთან" გველის დიდი თამაში, თუმცა ჩემი ფიქრი სანახევროდ „ნიუკასლთან" შეხვედრას დასტრიალებს".

ისევ ტოპმიოლერი: „ჩვენ მთელი საათნახევრის განმავლობაში მჭიდრო მეურვეობას ვაპირებდით, მაგრამ უხეში შეცდომები დავუშვით და შვიდ წუთში 0:2-ს ვაგებდით. ასეთ შეცდომებს კი „არსენალი" ვის აპატიებს? იმთავითვე ვიცოდი, რომ მეორე ეტაპი გაცილებით რთული გვექნებოდა, მაგრამ მეგონა, მეტი შეგვეძლო. მართალია, „იუვენტუსის" დღევანდელმა წაგებამ მეოთხედფინალში გასვლის შანსი კიდევ დაგვიტოვა, მაგრამ დღეს ეს მაინც არარეალურად მეჩვენება".

**ბაჩუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |


REUTERS [illegible]

დეპორტივო — იუვენტუსი. ლაკორუნიელ ნურედინ ნაიბეტს ალესანდრო დელ პიერო ფრენითაც ვერ დაეწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლი გვიჩვენეთ მამაძაღლებო! შეწყვიტეთ თამაში, დავლიოთ რამე



მიშელ ზენ რუფინენი

**ფიფა** აცხადებს, რომ მსოფლიოს მოახლოებულ ჩემპიონატზე დოპინგსაწინააღმდეგო ბრძოლა საგანგებო მასშტაბებს მიიღებს, შესაძლოა, სისხლის ანალიზიც კი დაამკვიდრონ. ამაზე ტოკიოში მყოფმა ფიფას გენერალურმა მდივანმა მიშენ ზენ რუფინენმა ილაპარაკა. მანვე ბრძანა, რომ იმ ფეხბურთელთათვის, რომლებსაც აკრძალული პრეპარატების ხმარებაში ამხელენ, სასჯელიც საგანგებო იქნება.

„პირველად საერთაშორისო ფეხბურთის ისტორიაში სადისციპლინო კომიტეტში სამი კაცი მხოლოდ ამ მიმართულებით იმუშავებს, რათა უფრო ქმედითად გაუმკლავდნენ დოპინგთან დაკავშირებულ პრობლემებს" — თქვა გენერალურმა მდივანმა.

საქმე ის გახლავთ, რომ წინა ჩემპიონატებზე სასჯელის განსაზღვრა საკუთრივ ფიფას საორგანიზაციო კომიტეტს ევალებოდა. რაც შეეხება სისხლის ანალიზს, ეს საკითხი მედიკოსმა ექსპერტებმა წამოჭრეს, რომლებიც შიშობენ, რომ ბოლოხანს გავრცელებული ახალი პრეპარატების ოდენ შარდის ანალიზით აღმოჩენა ჭირს.

ბოლოხანს კი სახელი დარბეპოეტინმა გაითქვა. დარბეპოეტინი თურმე აკრძალული ერითროპოეტინის მონათესავე რამ ყოფილა და სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადაზე მოუპოვებია დიდი პოპულარობა. თურმე მოთხილამურეებს, მათ შორის კი ესპანელ ოქროსმედალოსან იოჰან მულეგს სწორედ იგი აღმოუჩინეს.

დოპინგი დოპინგად და ბატონი ზენ რუფინენის თქმით, არ არის გამორიცხული იაპონიასა და კორეაში ჩვეული წვიმათა სეზონის და მაღალი ტენიანობის გამო გუნდებს შუა თამაშში შესვენებისა და თითო ყლუპი წყლის დალევის საშუალება მისცენ. დაგვეთანხმებით, ლაბორატორიის კარს მიღმა მიმდინარე დოპინგამბებთან შედარებით ეს ჩვენთვის გაცილებით სასეირო სანახავი იქნება.

გარდა ამისა, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ოცდათორმეტივე ნაკრების წარმომადგენლებმა — ტოკიოში ისინი ეგრეთწოდებულ „უორკშოპზე" იყვნენ ჩასულნი — უსაფრთხოების საგანგებო ზომების მიღება ითხოვეს. გასაგებია, მათ ტერორიზმის პრობლემა აწუხებთ.

წარმოიშვა გუნდების იაპონიიდან კორეამდე და პირიქით მოგზაურობის პრობლემაც, რაზეც ზენ რუფინენმა განაცხადა, რომ შესაძლოა ფიფამ საგანგებო ჩარტერული ავია რეისები შემოიღოს, საამისოდ კი ორივე მასპინძელმა თავის ავიასივრცეში ადგილი და დრო უნდა გამონახოს.

რაც შეეხება უშუალოდ ბურთაობას, გენერალური მდივნის თქმით, მსაჯები ყასიდად წაქცევის ნებისმიერ გამოვლინებას ყვითელი ბარათით დასჯიან. გარდა ამისა, სხვა საკითხებზეც გამახვილდება ყურადღება, ოღონდ კერძოდ რა საკითხებია, ამას 20-23 მარტს სეულში დანიშნული მსაჯთა სემინარის შემდეგ შევიტყობთ.

არ არის გამორიცხული ფიფამ განსაკუთრებული ოქრო გოლის გატანის ხანგრძლივ და ზღვარგადასულ ზეიმსაც გამოუცხადოს.

**ბაჩუნა ძიძია**

# ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი ცხრა თვე მოილოგინებს



**ლონდონის** „არსენალის" ჰოლანდიელ ნახევარმცველ ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს საოცრად არ გაუმართლა. პრემიერლიგის წინა ტურში ფულემელ სტივ ფინანთან შეჯახებისას მიღებული ტრავმა მას სულ მცირე ცხრა თვით ჩამოაშორებს ფეხბურთს. ეს კი ნიშნავს, რომ ჰოლანდიელმა არათუ ეს სეზონი დაასრულა ნაადრევად, მომავალი სეზონის დასაწყისიც გაუცდება.

შაბათის შემდეგ ფეხბურთელს ორი გამოკვლევა ჩაუტარეს, ჯერ ლონდონში, შემდეგ ამსტერდამში. პასუხი ორივეგან ერთნაირი იყო, მყესების დაწყვეტის გამო დასვენება მოგიწევსო.

| ვულვზი | 36 | 22 | 7 | 7 | 64:31 | 73 |
| სიტი | 34 | 21 | 5 | 8 | 78:42 | 68 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 19 | 6 | 11 | 43:25 | 63 |
| მილუოლი | 35 | 17 | 9 | 9 | 55:36 | 60 |
| ბარნლი | 35 | 17 | 9 | 9 | 57:48 | 60 |
| ქოვენთრი | 36 | 18 | 5 | 13 | 52:35 | 59 |
| კრ. პალასი | 36 | 18 | 3 | 15 | 63:50 | 57 |
| ბირმინგემი | 34 | 16 | 8 | 10 | 50:38 | 56 |
| ნორვიჩი | 35 | 17 | 5 | 13 | 48:44 | 56 |
| პრესტონი | 35 | 14 | 11 | 10 | 53:47 | 53 |
| უოტფორდი | 36 | 13 | 9 | 14 | 52:44 | 48 |
| უიმბლდონი | 34 | 12 | 12 | 10 | 49:43 | 48 |
| ჯილინგემი | 35 | 13 | 8 | 14 | 51:53 | 47 |
| შეფილდი | 35 | 11 | 13 | 11 | 38:41 | 46 |
| ნოტინგემი | 36 | 10 | 15 | 11 | 38:34 | 45 |
| ბრედფორდი | 34 | 13 | 6 | 15 | 60:61 | 45 |
| პორტსმუთი | 35 | 12 | 8 | 15 | 51:60 | 44 |
| როტერჰემი | 36 | 10 | 13 | 13 | 45:54 | 43 |
| ბარნსლი | 36 | 8 | 13 | 15 | 49:69 | 37 |
| უენსდი | 36 | 9 | 10 | 17 | 39:60 | 37 |
| ქრიუ | 32 | 9 | 8 | 15 | 32:54 | 35 |
| გრიმსბი | 36 | 8 | 11 | 17 | 30:55 | 35 |
| უოლსოლი | 36 | 8 | 8 | 20 | 37:60 | 32 |
| სტოკპორტი | 35 | 2 | 8 | 25 | 33:83 | 14 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვინ ვართ ჩვენ?

## ეგ ჩემი საქმე არ არის! უპასუხა მურნინგმა რაილის

27 თებერვალი

**ფილადელფია 82:72 მაიამი**

**ფილადელფია:** სნოუ (7), აივერსონი (31), პარპარინგი (18), კოულმენი (8 ქულა, 11 მოხსნა), მუტომბო (8 ქულა, 13 მოხსნა); მაკკი (5), ბლუნტი (2), ბელი (2), კლაქსტონი (1), სმიტი, კამინგსი, დელემბერტი

**მაიამი:** სტრიკლენდი (6), ჯონსი (9), გილი (2), გრანტი (6), მურნინგი (15); ჯექსონი (16 ქულა, 11 მოხსნა), ბეტლინგი (10), ელისი (5), კარტერი (3), ჯეიმსი, სტეფანია (5 წუთი, 0 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება)

„მოედანზე შესულებს ალარც გვახსოვდა, აქ რისთვის ჩამოვედით. მე ვიტყოდი, ორიოდ მოგებულმა თამაშმა დაგვავიწყა ჩვენი ღლევანდელი ადგილი. ვინ ვართ ჩვენ? 15-გუნდიან კონფერენციაში მეთერთმეტენი. არა გვრცხვენია, რომ ათეული სხვა ჩვენზე წინ დგას. ჩვენ ვართ პლეი ოფის დონეზე ზოგჯერ მოთამაშე გუნდი — თუნდაც ძლიერ მეტოქესთან მარცხმა საკუთარი შეგირდებისადმი რადიკალური კრიტიკისთვის განაწყო „მაიამი ჰითის" მწვრთნელი პატ რაილი — ეს იყო უზარმაზარი ნაბიჯი უკან, ახლა ყოველი წაგება ძვირად დაგვიჯდება. მით უმეტეს, კონკურენტთან. ჩვენ, მოვალენი ვიყავით ეს თამაში მოგვეგო და არ გვეფიქრა წინა გამარჯვებებზე".

„ფილადელფიასთან" მარცხმა მახწავლებლის დარად როდი დაანაღვლიანა „მაიამის" ცენტრი ალონზო მურნინგი. „ეს თამაშია, ზოგჯერ მოიგებ და არც წაგებაა მოულოდნელი. მე მაინც მესმის პატის. ჩვენი საქმე თამაშია, პატისა კი ჩვენს ავ-კარგზე ნერვიულობა". იქნებ მურნინგი საკუთარი თავის შემყურე კრიტიკულად განწყობილი არც იყოს. მას იმ დღეს ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ რაილი მასსავით მშვიდად ვერ შეხვდება პრინციპულ მატჩში მარცხს, როცა მისი გუნდის სასტარტო ხუთეულის ერთბაშად ოთხი კაცი ვერ აგროვებს ათ ქულას.

რაილის გული ასე იქნებ იმან დაკოდა, რომ ეს მატჩი ისტორიულ ექსკურსად ჩათვალა. გაიხსენა, რომ მისი შეგირდები სწორედ ასე ირჯებოდნენ სეზონის დასაწყისში, პირველ ორ თვეში, როცა შეხვედრების ოთხ მეხუთედს აგებდნენ. მართალია, „ჰითმა" ტრადიციულად ივარგა დაცვაში, მეტოქეს ცოტა ქულა ჩააგდებინა, მაგრამ ეს არ ეყო საქმეს, ვინაიდან გამარჯვებული ის გუნდია, რომელიც მეტოქეზე მეტ ბურთს ჩააგდებს, „მაიამი" კი იმ საღამოს შეტევაში დიდ ოსტატობას ვერ იჩენდა. ამაზე მეტყველებს „ფილადელფიას" კალათში ჩაყრილი ბურთებიდან შეგროვილი ოდენ 72 ქულა.

„მაიამის" ეს თამაში რომ მოეგო, „ფილადელფიასთან" და „ვაშინგტონთან" ერთი ხელის გაწვდენაზე აღმოჩნდებოდა, მერე კი მეთერთმეტე ადგილიდან ანაცვლებისთვის ხელსაყრელ დროს დაუცდიდა. ახლა „ფილადელფია" საკმარისად მოსწყდა ძლეულს და ასე ორიოდ კვირა მისი ფეხის ხმა არ შეაწუხებს. პატ რაილის ტყუილად როდი მოუშხამა გუნება ამ მარცხმა.

ამ დილით „მაიამი" მოსისხლე „ნიუ იორკს" შინ შეება

**მინესოტა 112:101 ლეიკერსი**

**მინესოტა:** გარნეტი (33 ქულა, 15 მოხსნა, 9 პასი), ბილაფსი (30 ქულა, 11 პასი)

**ლეიკერსი:** ონილი (27), ბრაიანტი (20 ქულა, 11 პასი), ფოქსი (15)

**ვაშინგტონი 101:105 პორტლენდი**

**ვაშინგტონი:** ჰამილტონი (31), ვიტნი (19 ქულა, 11 პასი)

**პორტლენდი:** ვოლესი (22 ქულა, 14 მოხსნა), პატერსონი (20), პიპენი (19), დევისი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ტორონტო 85:90 ორლანდო**

**ტორონტო:** კარტერი (22), კლერკი (20), დევისი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**ორლანდო:** მაკგრეიდი (24), გრანტი (18)

**შარლოტი 104:85 ნიუ ჯერსი**

**შარლოტი:** მეშბურნი (36), მეშა (17 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (15 ქულა, 10 პასი)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (12), უილიამსი (12)

**ბოსტონი 92:95 მილუოკი**

**ბოსტონი:** უოლკერი (30), პირსი (21)

**მილუოკი:** კასელი (26), ალენი (22), რობინსონი (22)

**დეტროიტი 101:89 ჩიკაგო**

**დეტროიტი:** უილიამსონი (24), ბერი (21 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), რობინსონი (16)

**ჩიკაგო:** როუზი (29 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა)

**ატლანტა 81:98 სიეტლი**

**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (24 ქულა, 16 მოხსნა), ტერი (18)

**სიეტლი:** ლუისი (19), დრობნიაკი (16), პეიტონი (14 ქულა, 12 პასი)

**გოლდენ სტეიტი 110:93 დენვერი**

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (26 ქულა, 12 მოხსნა), რიჩარდსონი (23)

**დენვერი:** ჰოვარდი (21), პარდეველი (18)

კარგად დაწყებული საქმე ცუდად დაუმთავრდა ჩემპიონ „ლეიკერსს". ხუთმატჩიან გასვლით ტურნეზე პირველი ოთხის მომგები თავმოლერებული ჩავიდა მინეაპოლისში, სადაც სანამ იქაურ „მგლებს" დაეჭიდებოდა, ბევრი იბაქიბუქა, თურმე სულ ტყუილად.

„მინესოტას" სეზონის ბოლომდე დაუკარგავს ძირითადი გამთამაშებელი ტერელ ბრენდონი, რომელიც გუნდს კევინ გარნეტის შემდეგ მეორე კაცად ეთვლება და მისი გაქანების მობურთალის არყოლა, თან ზედ „ლეიკერსთან" თამაშის წინ, მძიმე დარტყმა იყო „მგლებისთვის". თუმც „მინესოტას" მწვრთნელმა ფლიპ სანდერსმა ეს პრობლემა იოლად მოაგვარა, შემცვლელს და მერე როგორს მახლობლად, იქვე სათადარიგოებში მიაგნო.

ჩონსი ბილაფსმა ბოლომდე შეავსო პატარა ბრენდონის არყოფნაში მინესოტურ კედელში ჩამსკდარი ვეება ბზარი. ივარგა ბილაფსმა, მის შესაჩერებლად დამგრულმა ლოსანჯელესელებმა კი ვერა. ჩონსი ჩაუქად ატარებდა ბურთს და საჭიროების შემთხვევაში „ლეიკერსის" კალათის შორიახლო იოლად ნახულობდა კევინ გარნეტს, თავადაც ესროდა და გარნეტსაც ასროლინებდა, ხოლო აცილებულ ბურთებს გარნეტი ხსნიდა. სხვა მინესოტელები მწირად უტევდნენ, სამაგიეროდ, თავიანთ ოპონენტებს დაცვისას ყურადღებას არ აკლებდნენ და ყველაფერს ისე ლაზათიანად აკეთებდნენ, უკვე პირველმა ტაიმმა გამოავლინა მატჩში უკეთესი.

შეხვედრის დაწყებამდე ნაბაქიბუქარმა ლეიკერსელმა კობი ბრაიანტმა ნამარცხევს უკან დაიხია და მოკრძალებით იმართლა თავი, ბოლო ხანებში ბევრმა გასვლამ მოგვიწია და ცოტა არ იყოს, მუხლებში დაღლილობა შევიგრძენი.

მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში მიმოფანტული ჯორდანის ქომაგობის ქართული ნაწილისთვის ახალს და კარგს ვერაფერს ვიტყვით. მისი „ვაშინგტონი" გუშინწინ „პორტლენდს" შეება, რომელსაც ერთ-ერთ ლიდერად სკოტი პიპენი ჰყავს. სკოტის გულით ეწადა ძველ ძმაბიჭთან გაბურთავება, მაგრამ თავადაც იცოდა, შეუძლებელი სურდა. ჯორდანი დღე-დღეზე ოპერით წამოწვება ქირურგიულ მაგიდაზე და მუხლს დასტაქრების პინცეტ-ლანცეტებს შეუშვერს.

დაობლებული „ვაშინგტონი" მაინც ხელებაკაპიწებული დაუხვდა „პორტლენდს" და ორი უკანასკნელის — ვიტნის და ჰამილტონის უხვქულიანობის წყალობ ით პირველი წუთებიდან ბოლომდე კუდში სდია მეტოქეს, ეგაა, ბოლომდე მდევრად დარჩა. მომგებმა ზედიზედ მეშვიდედ იმარჯვა და დასავლეთის ნახევარდაჯგუფებაში მეექვსე ადგილის საძირკველს ერთი ლოდიც შეუყუდა.

ნაწვალებ-ნატანჯი „ტორონტო" შინ დაუხვდა „ორლანდო მეჯიქს" და ზედიზედ მეცხრედ წააგო, ხოლო ხალხმა აღმოაჩინა, რომ მფრინავი ტორონტოელის, ვინს კარტერის ახლახან მორჩენილმა ბარძაყმა პატრონი ჩვეულებრივი კალათბურთელივით დაამძიმა. მან ერთხელაც ვერ ჩატენა (ჭეშმარიტად უპრეცედენტო შემთხვევაა), ფართან ეულად დარჩენილმაც კი, რითაც ნახევარი თუ არა, მეოთხედი ტორონტო მაინც დაზაფრა. მართალია, კარტერმა თავისიანებს ჩაუტენავადაც მიაშველა 22 ქულა, მაგრამ ბიძაშვილ თუ მამიდაშვილ ტრეისი მაკგრეიდისთან დუელი მაინც წააგო და გამარჯვებაც მის „ორლანდოს" გაატანა.

საშუალოზე ვერაფრით მაგარ „შარლოტთან" მწარედ წააგო აღმოსავლეთში უყოჩაღესმა „ნიუ ჯერსიმ". შარლოტელი მარჯვედ შემტევი ფრთა ჯამალ მეშბურნი ეს ორი კვირაა, გამწარებით ამტკიცებს (და გამოსდის კიდეც), რომ ტრავმამ ნახევარი სეზონი კი გამოატოვებინა, მაგრამ მის მებრძოლ ჟინს მისხალიც ვერ მოაკლო. ყოველ შემთხვევაში, მისგან „შარლოტის" ყულაბაში ჩაწკრიალებული 36 ქულა თვალსაჩინო საბუთია.

„სიეტლ სუპერსონიქსისთვის" გულანთებულთა არმიას შეუძლია, გაიხაროს. „სონიქსის" ლიდერი გერი პეიტონი ყოველ თამაშში 25-30 ქულას ველარ აგდებს. აქ ცუდი არაფერია, საქმეც ისაა, რომ იგი აღარაა თავისი გუნდის ერთადერთი ჩამგდები, მეტოქეთა კალათის რბევაში ხელი სხვა სიეტლელებმაც გაიწაფეს. ეს კი გერის საშუალებას აძლევს, დროდადრო მოასვენოს ასაკოვანი ტან-ხელ-ფეხი. გუშინწინ მან 14 ქულა თუ ჩაუგდო „ატლანტას", „სიეტლმა" კი მაინც მოიგო, თან ზედიზედ მეოთხედ და ხალხი გაკვირვებას გადაარჩია.

**ირაკლი ფირცხვილი**




ფილადელფია — მაიამი. ფილადელფიელმა აარონ მაკკიმ ბრაიან გრანტს ბურთი დაუშალა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 38 | 18 | 67,9 |
| ბოსტონი | 31 | 26 | 54,4 |
| ორლანდო | 31 | 26 | 54,4 |
| ფილადელფია | 28 | 28 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 27 | 29 | 48,2 |
| მაიამი | 23 | 32 | 41,8 |
| ნიუ იორკი | 20 | 34 | 37,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 33 | 23 | 58,9 |
| დეტროიტი | 32 | 23 | 58,2 |
| ინდიანა | 28 | 28 | 50,0 |
| ტორონტო | 29 | 30 | 49,2 |
| შარლოტი | 28 | 29 | 49,1 |
| კლივლენდი | 20 | 36 | 35,7 |
| ატლანტა | 20 | 37 | 35,1 |
| ჩიკაგო | 15 | 42 | 26,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 40 | 17 | 70,2 |
| მინესოტა | 39 | 18 | 68,4 |
| სან ანტონიო | 36 | 20 | 64,3 |
| იუტა | 31 | 25 | 55,4 |
| ჰიუსტონი | 20 | 36 | 35,7 |
| დენვერი | 16 | 38 | 29,6 |
| მემფისი | 15 | 41 | 26,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 41 | 15 | 73,2 |
| ლეიკერსი | 39 | 17 | 69,6 |
| პორტლენდი | 33 | 24 | 57,9 |
| სიეტლი | 32 | 26 | 55,2 |
| კლიპერსი | 29 | 30 | 49,2 |
| ფინიქსი | 27 | 30 | 47,4 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 39 | 29,1 |






ტორონტო — ორლანდო. ერთმანეთის პირისპირ დამდგარმა ბიძაშვილ-მამიდაშვილებმა, ორლანდოელმა ტრეისი მაკგრეიდიმ (მარცხენა ფოტოზე) და ტორონტოელმა ვინს კარტერმა ერთმანეთი აწვალეს, საბოლოოდ კი კარტერი გაწვალდა

## კორაჩის თასი

**ნახევარფინალი. პირველი მატჩები. 27 თებერვალი**

ნანსი (საფრანგეთი) — დიჟონი (საფრანგეთი) 95:72

ფუენლაბრადა (ესპანეთი) — მარუსი (საბერძნეთი) 84:82

მაკაბი (ირონი, ისრაელი) — პივოვარნა (სლოვენია) 58:68

ლოკომოტივი (რუსეთი) — პროკომი (პოლონეთი) 87:74

## საპორტას თასი

**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 26-27 თებერვალი**

ესტუდიანტესი (ესპანეთი) — პამესა (ესპანეთი) 77:80

ჰაპოელი (ისრაელი) — სნაიდერო (იტალია) 71:74

ტელეკომი (თურქეთი) — პანიონიოსი (საბერძნეთი) 80:74

სტრასბური (საფრანგეთი) — სიენა (იტალია) 78:78

სპლიტი (ხორვატია) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 67:100

ცელიენიკი (იუგოსლავია) — ტელეკომი (გერმანია) 88:91

უნიკსი (რუსეთი) — ირაკლისი (საბერძნეთი) 91:79

ანველი (პოლონეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 95:78

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეოფანოვას ჭოკი ისევ ექახის

**დღეს** ვენაში ევროპის ჭერქვეშა პირველობა იწყება და გასაკვირი როდია, რომ საინფორმაციო საშუალებათა მთავარი ყურადღება მეჭოკე სვეტლანა ფეოფანოვაზეა მიპყრობილი. შარშანდელ სეზონში ძვალტყავა რუსის გოგო დაიჩაგრა, რადგან მთელ სეზონზე მონოპოლია ამერიკელმა სტეისი დრაგილამ დაიჭირა და ფეოფანოვასთვის ოქრო არ დარჩა არც ლისაბონის ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატზე და არც ლია ცის საპლანეტო პირველობაზე, კანადურ ედმონტონში რომ შედგა.

ფეოფანოვა ორგანვე ვერცხლის მედლებს დასჯერდა და თავისთავად რიგიანი ეს მიღწევები რუსმა არად ჩააგდო: შარშანვე ევროპის რეკორდი დაამყარა, წლეულს კი თვითონ დრაგილას მეთოდურ დამხობას შეუდგა.

ამერიკელს ჯერ არ გაუხსნია სეზონი, რომ ფეოფანოვამ მისი ჭერქვეშა რეკორდი უკვე გააუმჯობესა და მერე პატარა ტურნირებზე ზედიზედ სამჯერ თავისივე შედეგებს გადაევლო. ბოლო მაჩვენებელია 4 მეტრი და 74 სანტიმეტრი, რაც ფეოფანოვამ საფრანგეთში, ლიევენის ტურნირზე აჩვენა და, ცხადია, ევროპის ჩემპიონატზეც მთავარი ფავორიტი იქნება.

ინტენსიური ხტომის მიუხედავად, ფეოფანოვას ჭოკის ხმარების სურვილი კიდევ აშკარად ეტყობა და ჟურნალისტებს სპორტულად მოწყურებული ელაპარაკა

„თავისთავად ცხადია, რომ რეკორდით გამარჯვება იდეალური ვარიანტი იქნება — თქვა ვენაში ჩასულმა ფეოფანოვამ — მაგრამ ახლა ჩემთვის მაინც ტიტულია მთავარი".

დაგაინტერესებთ ის ფაქტიც, რომ ფეოვანოვა ყოველთვის მეჭოკე როდი იყო, ადრე ტანვარჯიშს მისდევდა. ვენაში მისი მთავარი კონკურენტი ჩეხი პავლა ჰამაკოვა იქნება, რომელმაც შარშან ლისაბონში აჯობა.

მასპინძლები კი, ავსტრიის ღარიბი სამძლეოსნო ტრადიციებიდან გამომდინარე, ერთადერთ ათლეტს შესციცინებენ. მსოფლიო კლასის საშუალო დისტანციაზე (800 მეტრი) მორბენალი და დიდი ჩოგბურთელის სეხნია-მოგვარე შტეფი გრაფი რიგიან ფორმაშია და ბილიკზე მოქმედი ჩემპიონის სტატუსით დადგება. გრაფს გამარჯვების გარანტიები აქვს — შავ-შავი ქალები გვერდით არ ეყოლება და ვილამ უნდა გაუწიოს კონკურენცია, მაგრამ დაზლევვას ვისთვის უვნია: „მთავარ დუელს, ალბათ, მე და იოლანდა სეპლაკი გავმართავთ — ამბობს გრაფი სლოვენი მძლეოსნის შესახებ — სეპლაკი ძლიერი ტაქტიკოსია და მე ყოველმხრივ ვემზადები".

სხვა საჩინო ფიგურებზე: 60 მეტრის კონტინენტური ჩემპიონი ბრიტანელი ჯეისონ გარდნერი გახლავთ და ვენაში ტიტულს დაიცავს. მთავარ კონკურენტად მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონ მარკ ლუის ფრენსისს მიიჩნევს, რომელიც ასევე ბრიტანელია. ერთ ადრეულ ტურნირზე გარდნერმა ლუის ფრენსისს მხოლოდ წამის მეასედით გაუსწრო.

კიდევ ბრიტანელი, კრისტიან მალკოლმი 200 მეტრზე (დარბაზის 1 წრეა) ჩაეჭიდება თავის ჩემპიონობას, ისევე როგორც კოლინ ჯეკსონი 60 მეტრზე თარჯრბენში. და საერთოდ, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ბრიტანელები საჩინო ადგილას უნდა ვიხილოთ.

**დავით გულუა**




შტეფი გრაფს (მარცხნივ) მთავარ მეტოქედ იოლანდა სეპლაკი ესახება



სვეტლანა ფეოფანოვა წლეულს მხოლოდ სარეკორდოდ ხტება



## მინარდი

დაარსდა 1972 წელს
ფორმულა 1-შია 1985 წლიდან
პრეზიდენტი: პოლ სტოდარტი
გენერალური დირექტორი: ჯანკარლო მინარდი
კომერციული დირექტორი: რუპერტ მენუორინგი
ბოლიდი: „მინარდი PS02"
(სიგრძე 4,57მ; სიგანე 1,48მ)
ძრავა: „აზიატექ AT02"
საბურავები: „მიშელინი"
271 რბოლა; 28 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — VII(1991)
2001 წელს გუნდმა დაიკავა XI ადგილი (0 ქულა)
მთავარი სპონსორები: Go KL, მიშელინი, მანეტი მარელი, ელჯი ელექტრონიქსი, ბეტა, სპერკო, მაგნუმ კორპორეიშენი, პენგლობალი, აზია მოტორ ტექნოლოჯისი, ადმირალი, ეუროპიენ ეგიეიშენი.



**ალექსანდრ ჩარლზ იონგი**
**მალაიზია**
დაიბადა 1976 წლის 20 ივლისს კუალა ლუმპურში.
სიმაღლე 178 სმ, წონა 68 კგ
უცოლო
დებიუტი ფორმულა 1-ში: იტალიის დიდი პრიზი (2001)
3 რბოლა, 0 ქულა
„მინარდიშია" 2001 წლიდან



**მარკ ვებერი**
**ავსტრალია**
დაიბადა 1976 წლის 27 აგვისტოს ქუინბინში. უცოლო
სიმაღლე 185 სმ, წონა 75 კგ
ფორმულა 1-ის დებიუტანტი

## ძალიან პატარა სკუდერია

**მეფორმულეთა** წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წარდგენას უსუსტესი „მინარდით" ვასრულებთ.

გასაკვირია, რომ მუდმივად უსახური შედეგების მიუხედავად, ჯანკარლო მინარდის საჯინიბო ჯერ კიდევ სულდგმულობს. 17 სეზონში კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი მხოლოდ მეშვიდე ადგილია, პირად ჩათვლაში კი „პატარა სკუდერიის" პილოტებს ერთი პოდიუმიც არ ღირსებიათ. იტალიის ქალაქ ფაენცას გუნდმა ბოლო ხუთ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. უარესი რაღა უნდა იყოს.

წლეულს მანქანაც ახალია და სამძღოლო შემადგენლობაც — ფერნანდო ალონსოსა და ტარსო მარკეშის ნაცვლად 25-წლიანებს, ახალბედა ავსტრალიელ მარკ ვებერსა და დღემდე სულ სამ ეტაპზე ნარბოლ მალაიზიელ ალექს იონგს ვიხილავთ. აღსანიშნავია, რომ „მწვანე კონტინენტის" წარმომადგენელი პირველად გამოჩნდა 1994 წლის შემდეგ. ვებერი ფორმულა 3000-ის ბოლო ორი წლის გამარჯვებულია, თანაც შარშან „ბენეტონ-რენოს" ტესტდრაივერიც იყო. პირველ მალაიზიელ მეფორმულეზეც სათქმელი ბევრი არაფერია: იონგმა გასულ სეზონში უხეიროდ მოასპარეზე მარკეში შეცვალა ბოლო სამ ეტაპზე. მანამდე შვიდი წელი ისიც დაბალი კლასის ფორმულაში გამოდიოდა.

ახალი „KL მინარდი აზიატექის" პრეზენტაცია მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში მოეწყო, რადგან ერთ-ერთი მრბოლიც იქაურია და გუნდის გენერალური სპონსორიც, ფირმა „Go KL". „მინარდის" ავსტრალიელი მეპატრონე, ავიამაგნატი პოლ სტოდარტი შარშანდელთან შედარებით უფრო იმედიანადაა: „გუნდის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად შარშან ხუთწლიანი გეგმა დავსახეთ და უკვე წლეულს აღმასვლა უნდა დავიწყოთ. ახალი ბოლიდი გარეგნულადაც და კონსტრუქციულადაც ბევრად განსხვავდება წინამორბედისგან. უმთავრესი სიახლე კი „აზიატექის" კომპაქტური და გაცილებით მძლავრი ძრავებია, რომლებიც შეღავათიანი პირობებით შევიძინეთ. ამან საშუალება მოგვცა, მნიშვნელოვანი თანხა გამოგვეყო სხვა პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად. იონგმა და ვებერმა ახალი ძრავ-მანქანით არაერთი ათასი კილომეტრი გაიქროლეს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ გასულ სეზონთან შედარებით ერთი ნაბიჯით წინ ვართ და განხორციელებული ცვლილებები სასიკეთო შედეგს მოიტანს".

**გია ახალაძე**




„მინარდის" პრეზენტაცია კუალა-ლუმპურის აეროპორტში მოეწყო

# გრძნობათა როიალი

## შავ დებში თეთრი კბილები გაკრთა



სერენა უილიამსი დის, ვინუსსაც ემუქრება

**დუბაი. პარდი**
**საპრიზო 1 მლნ $**

**პირველი წრე**

**როჯერ ფედერერი (6, შვეიცარია) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:3, 6:4; მაქს მირნი (ბელარუსი) — რენცო ფურლანი (იტალია) 7:6 (7:5), 6:2**

**მეორე წრე**

**ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:1, 7:6 (7:5); ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (4, საფრანგეთი) 6:2, 7:5; ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 6:2; ირჟი ნოვაკი (8, ჩეხეთი) — რაინერ შიუტლერი (გერმანია) 7:5, 6:1**

დღის მოულოდნელობად ყველამ სანტოროსა და გროჟანს შორის შემდგარ შიდაფრანგულ შეხვედრაში უფრორე ასაკოვანი კაცის გამარჯვება მიიჩნია. მაგრამ ჯერ ერთი, სანტორომ 1993-ში დუბაის პირველ ტურნირზეც უთამაშია და იქ ფინალამდეც მისულა, ხოლო მეორეცაა — და ეს უფრო მთავარია — აქამდე ნათამაშებ 9 შეხვედრაში რანგით უფრო მაღლა მდგომ გროჟანს მხოლოდ ორჯერ ემარჯვა და ორჯერვე თიხნარზე. მოკლედ, საყოველთაო მოლოდინის წინააღმდეგ, სანტოროს უნდა მოეგო და მან ეს კიდეც გააკეთა.

შეხვედრის გადარჩენის ერთადერთი შანსი მეოთხე ნომრად განთესილმა გროჟანმა მხოლოდ მეორე სეტში, 3:3-ზე მოიპოვა, როცა მეტოქისთვის მისი გეიმის წართმევა მოახერხა — 4:3. მაგრამ გამოცდილი სანტორო არც ამას აუღელვებია — მცირე შეფერხება უმალ გამოასწორა, ჯერ წართმეული გეიმი „აუთოგო" (4:4), მერე თითო-თითო გეიმი გაცვალა (5:5), ბოლოს კი, მოგებული საკუთარი გეიმის შემდეგ (6:5) გადამწყვეტი ისევ გროჟანს წაჰგლიჯა — 7:5.

პირველ წრეში ხორვატი გორან ივანიშევიჩის გაგორების შემდეგ გერმანელი ნიკოლას კიფერი ბადეში ისევ ხორვატს, ივანიშევიჩის მეღვინსაკრებე ივან ლიუბიჩიჩს შეხვდა. თვისტომის მარტებელი ივანმა ტურნირის ბოლომდე ტრიბუნაზე მიავლინა. „თავდაჯერებულად ვერ ითამაშა და ბოლომდე გაურკვეველი ქულაც მაჩუქა. ეგ იყო და ეგ" — ასე ახსნა თავის წარმატება ლიუბიჩიჩმა.

სხვაფრივ — განთესილთაგან ორ-ორ სეტიანი მატჩები ჩაითამაშეს როჯერ ფედერერმა (6), ევგენი კაფელნიკოვმა (2) და ირჟი ნოვაკმა (8). ამათგან კაფელნიკოვს მეორე სეტში გაუჭირდა, ნოვაკს — პირველში, ფედერერს კი არც ერთში არ გასჭირვებია, მაგრამ 0-ებზე მოსაგები სეტები ალაგ-ალაგ დაშვებული ბითური შეცდომებითა და მსაჯთან უსარგებლო შეყაყანებით წაიმურდლა.

**სან ხოსე. პარდი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**პირველი წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:2; ენდი როდიკი (3, აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:4; ქსავიე მალისი (ბელგია) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:4, 6:2; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — მარდი ფიში (აშშ) 6:4, 3:6, 7:5**

**მეორე წრე**

**უეინ არტურსი (ავსტრალია) — ანდრე სა (ბრაზილია) 4:6, 6:1, 6:4; ჟან-მიშელ გამბილი (4, აშშ) — კენეტ კარლსენი (დანია) 7:6 (10:8), 6:2; უეინ ფერეირა (8, სამხრეთ აფრიკა) — კრისტიან პლესი (დანია) 4:6, 6:3, 6:3**

ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს, ჩემპიონთა რბოლის შარშანდელ გამარჯვებულს, ჩოგანი მშობლიურ ლია პირველობაზე პირველსავე წრეში გამოვარდნის შემდეგ ანუ 15 იანვრიდან აღარ გაუნძრევია. ბედმა მას ამჯერად ფრანგი მიშელ ლოდრა არგუნა და, მეორე სეტში წაგორხილებას თუ არ ჩავთვლით, ჰიუიტს ურიგოდ არ უთამაშია. რაც მთავარია, თვითონ ძალზედ ნასიამოვნები დარჩა. „ფიზიკურადაც კარგად ვარ და მენტალურადაც. ამიტომ თამაშმა ალალი სიამოვნება მომგვარა. მით უფრო, რომ ლოდრაც შუშპარა მეჩოგნეა — გი ფორჟესავით შემოქმედებით, ვერპროგნოზირებად ჩოგბურთს თამაშობს" — ამბობდა ეს-ესაა 21 წლის გამხდარი ჰიუიტი.

რაც შეეხება უნიჭიერეს ამერიკელ ყრმა ენდი როდიკს, მან ზედიზედ მერვე გამარჯვება მიითვალა. თავისი ნინველობისდროინდელ მეტოქე ჯინეპრის თავბრუ მან ტყვიისებრი ეისებით დაახვია.

**სკოტსდეილი. პარდი**
**საპრიზო 585 ათასი $**

**მარტინა ჰინგისი (2, შვეიცარია) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:2, 6:4; სერენა უილიამსი (3, აშშ) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:3, 6:3; დიია ბედანოვა (8, ჩეხეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:2, 6:3; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — აი სუგიამა (იაპონია) 6:2, 6:1**

სამკვირაო რეიტინგსიებში მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითებული მარტინა ჰინგისი კორტს სამკვირიანი შესვენების შემდეგ მოუბრუნდა. შესვენების აუცილებლობა 5-გზის მეიდსლემე შვეიცარიელმა ადრეთებერვალში ტოკიოს ტურნირზე (თავისი მე-40 საკარიერო ტიტულის) მოგების შემდეგ იგრძნო — მას ხომ ჯერაც არ გამონელებოდა ის ტკივილი, რაც იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე ჯენიფერ კაპრიატისთან არწასაგები ფინალის წაგებამ მოუტანა. (სხვათა შორის, ამ შესვენების გამო იყო, ლოჰასა და დუბაიში შარშან მოპოვებული ტიტულები რომ დაუცველი დაურჩა — პირველი ხელეშმა წაჰგვარა, მეორე — მორესმომ).

უთამაშებლობის მიუხედავად მარტინა მაინც ცქაფად გამოიყურებოდა და ფრანგი სტეფანი ფორეს ამბიციათა მოშთობას საათზე სამი წუთით მეტი მოანდომა. „ძალიან ფოკუსირებული და ძალიან კონცენტრირებული ვიყავი. მიხარია, რომ შესვენებამ დარაზმვისა და შემკვრივების უნარი არ მომილუნა" — თქვა მან ნამატჩევს.

მისგან განსხვავებით, თავისი გარეგნით უმეფოლო დარჩა მსოფლიოში მეცხრე ჩოგნის მჩვეული სერენა უილიამსი, ვინაც 11 იანვარს სიდნეის ტურნირზე მარცხენა კოჭი იტკინა და ჰინგისის დარად აქამდე ჩოგანს მხოლოდ სავარჯიშო კორტზე იქნევდა. 25 წლის რუს ალინა ჟიდკოვასთან მისაგებად განწირულ მატჩი მან 62 წუთში მოამთავრა და ამ ხნის განმავლობაში 9 ეისიც ჩააბრახუნა.

„ფეხებზემკიდიად და რამე-რუმედ ვითამაშე. აურაცხელი შეცდომა დავუშვი და ვერც იმდენი ეისი ჩავაგდე, რამდენიც შემეძლო" — თქვა მან. ხოლო კითხვაზე, ორშაბათის შემდეგ თქვენს დაში რამე თუ შეიცვალაო, ასე უპასუხა: „არა, იგი კვლავაც ძველ ვინუსად რჩება. შეცვლით კი ის შეიცვალა, რომ, რადაი პირველი ნომერია, აწი მისი დამარცხება უფრო მეტ ქულას მომიტანს". თვითმხილველები ამბობენ, რომ ამ სიტყვების წარმოთქმისას სერენას მაინცდამაინც დური ღიმილი არ დასთამაშებდა.

**აკაპულკო. თიხნარი**
**ვაჟები. საპრიზო 725 ათასი $**

**პირველი წრე**

**ნიკოლას მასუ (ჩილე) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:3, 7:6 (7:2)**

**მეორე წრე**

**ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — ტომი ჰაასი (1, გერმანია) 7:6 (8:6), 3:6, 7:6 (9:7); კარლოს მოია (5, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4, 6:4; დავიდ სანჩესი (ესპანეთი) — ალბერტ პორტასი (4, ესპანეთი) 6:2, 7:5; ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — ნიკოლას კუტელო (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:3**

ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა ტომი ჰაასმა კორტის გადაღმა, აკაპულკოს მწვანე პლაჟებისკენ ირიბად ცქერა უკვე პირველი მატჩის შემდეგ დაიწყო — იმედი მაქვს, ტურნირს ციმციმ მოვიგებ და მერე ქვიშებზეც გავიშტრიალებო. ესპანელ ვისენტესთან გუშინ ნაჯაჯგურევი უმძიმესი შეხვედრის მერე მას უკვე ხელს აღარაფერი უშლის, იქაურ სექსატმოსფეროში თავფეხიანად გადაეშვას.

„ჰო, ახლა მაგითაც თუ ვინუგეშებ- ისე კი, ეს ტურნირი პირად კალენდარში ძალიან გვიან ჩავრთე, ისე, რომ თიხნარზე ხეირიანადაც არ გამევარჯიშა. ამიტომაც ჩავისვარე", — აღიარა მან ნამატჩევს. ხოლო კითხვაზე, თუ ვინ გახდება მისი აზრით ტურნირის უმთავრესი პრიზის მფლობელი, მან ეგრე მიუგო: „ყველაზე თავდაჯერებულად და მწყობრად ნიკოლას მასუ ირჯება, ცუდი შანსები არც ხუან იგნასიო ჩელასა და კარლოს მოიას უნდა ჰქონდეთ".

ჰაასის მიერ ფავორიტებად შერაცხულთაგან მასუმ, რომელმაც გასულ უქმეებზე ბუენოს აირესში იპირველა, ანდრე გაუდენცის შმაგი წინააღმდეგობა გატეხა. მისი თქმით, აკაპულკოში არგენტინის დედ. ქალაქთან შედარებით საფარიც უფრო მშრალია, ბურთებიც უფრო ნერვიული ბაყაყებივით დახტიან და სიცხემ ხომ საერთოდაც ტვინი წაიღო. კარლოს მოიამ მეოთხედფინალისკენ მიმავალი გზა ხოსე აკასუსოს ალაგმვით გაიკაფა. ნამატჩევს იგიც სიცხესა და კიდევ იმას შემოსწყრა, რომ მისი თამაშის შესახებ ყველა აზრზეა, მან კი არავისი არაფერი იცის.

**ქალები. საპრიზო 200 ათასი $**

**ანა კურნიკოვა (რუსეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:1, 6:2; ელენა დემენტიევა (1, რუსეთი) — მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 7:6 (7:5), 6:7 (5:7), 6:4; ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (2, ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:3; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:2; კრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) — ევა ბესი (ესპანეთი) 6:1, 6:2;**

ანა კურნიკოვას დღემდე ერთი ტურნირი რაა, ეგეც არ მოუგია. თუკი იმ გაგანია სიცხეში ეგრე ჩაუქად და მჩქეფრად თამაში განაგრძო, ვინძლო, რაღაცას მაინც გამოკრას ხელი. სასურველია, ეგ რაღაც ის თუ იქნება, რაზეც აკაპულკოში შეკრებილი ქალები ლიანგად ფიქრობენ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, თავის ეშხიანი ფეხების ქვეშ სექსანამ გუშინ უჩინო იტალიელი ტატიანა გარბინი გაიგდო. „ჩემთვის ეს თითქმის სრულყოფილი მატჩი გახლდათ. მაგრამ საიმისოდ, რათა საუკეთესო ფორმას მივაღწიო, კიდევ ბევრი მუშაობა მჭირდება" — ანას ამ სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღებით ტურნირზე პირველ ნომრად განთესილი ელენა დემენტიევა უსმენდა. ეს ის ელენაა, შარშან მარტში კურნიკოვას რუსეთის უპირველესი მეჩოგნის პატივი რომ აჰყარა და ახლაც, უკეთუ ყველაფერი წესისამებრ წარიმართა, ფინალში მის წახდენასაც რომ ეცდება.

მომდევნო შეხვედრას კურნიკოვა ჟანეტ ჰუსაროვასთან გამართავს, დემენტიევა კი კონჩიტა მარტინესის მძლეველ ემელი ლუას უნდა შეეყაროს.

**ლევან ძიძაურაძე**

ჭადრაკი

კანის სუპერტურნირი

# მოროზევიჩი როზგით გაალევიძეს

**ლინარესში** გუშინწინ ისვენებდნენ, კანის ტურნირზე მე-6 ტური გაიმართა. ეს ნიშნავს, რომ ეკვატორი უკვე გადავლილია და ალექსანდრ მოროზევიჩი ეს-ესაა თვალებს იფშვნეტს. მას შემდეგ, რაც თითო როზგი ტურნირის მონაწილეთა ბარე ნახევრისგან მიიღო, მოროზევიჩს გაახსენდა, რომ ყველაზე არაჩვეულებრივ მოჭადრაკედ მონათლეს და უცებ ტურნირის ლიდერთაგანი ჩააგდო ნოკაუტში. მეტიც: შავებით ჩააგდო.

ევგენი ბარეევს მისთვის რომ მოეგო, კარპოვთან ლიდერობას გაინაწილებდა, რადგან თამაშის მადაზე მყოფმა ექსჩემპიონმა იმ ტურში ერთობ ტანჯვა ჟოელ ლოტიე, ვერ კი მოუგო.

გავარჩიოთ ახლა ბარეევის და მოროზევიჩის პარტია, რომელიც უსისხლო დებიუტით დაიწყო. სანამ დაფიდან პირველ ფიგურებს გაასვენებდნენ, მხარეებმა წარმატებით ააშენეს საკუთარი პოზიციები (იხილეთ დაფა) და მალე ბარეევმა მოახერხა, რომ მეფის ფრთის კიდურა ვერტიკალი შავი პაიკისგან გაეთავისუფლებინა. ამ ფლანგზე იყვნენ მისი მსუბუქი ფიგურები (კუ, 2 მხედარი) და ლაზიერიც შორიახლო გაყურსულიყო. შეტევას არაფერი უშლიდა, მაგრამ უცებ ლაზიერის ფლანგზე მოროზოვიჩის პაიკი ამოძრავდა. მალე გაირკვა, რომ მის წინსვლაში არ იყო ავანტიურის ნასახიც, რადგან ამ მხარეს შავებს პაიკთა უპირატესობა ჰქონდათ და იერიში წარმა-



ალექსანდრ მოროზევიჩი



ტებით განავითარეს. პირიქით, ავანტიურა წამოიწყო ბარეევმა, რომელმაც შეჭირვებული მდგომარეობიდან გამოსვლა სწორედ რომ ერთი დაკვრით სცადა და რიგ შეწირვათა შემდგომ შექმნა ქაოსი, რომელშიც ბევრჯერ მოროზევიჩის მეფე პირდაპირ, შამათს უყურებდა თვალებში.

მაგრამ ბარეევის კომბინაცია მცდარი გამოდგა და უაღრესად შეთხელებული თეთრები 30 სვლაში დანებდნენ.

ერთი მნიშვნელოვანი პარტია ბორის გელფანდმა და ვესელინ ტოპალოვმაც გამართეს. თავსატეხ მანევრულ ბრძოლაში მხოლოდ მაღალი კლასის მოჭადრაკეებს თუ არ წაუცდებოდათ ფეხი, რაც დიდ ჭადრაკში წაგების ტოლფასია. ორივე დიდოსტატი იმ დღეს თავის სიმაღლეზე იყო და ზავით გაშორდნენ.

**დავით გულუა**

**ვითარება 6 ტურის შემდეგ**

**1. კარპოვი 4; 2-3. გელფანდი, ტოპალოვი 3,5; 4-8. ბარეევი, ლოტიე, ბაკრო, ფრესინე, ლეკო 3; 9. ნატაფი 2,5; 10. მოროზევიჩი 1,5**

ძიუდო

# დავით ხახალეიშვილი მეტოქეებს არ ახარებს

**თავშივე** გეტყვით, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ტატამს ნაადრევად ჩამოშორებული სახელოვანი ფალავანი აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, ისიც ხახალეიშვილია, თანაც დავითი. 14 წლის ქუთაისელმა ბიჭმა ახლახან ბაქოში გამართულ ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე აზერბაიჯანელი და რუსი მეტოქეები არ გაახარა და 42 კგ წონით კატეგორიაში დამსახურებულად გაიმარჯვა.

ხახალეიშვილის მსგავსად, შეჯიბრებაში ორმა ქუთაისელმაც ისახელა თავი. ზურაბ შარვაშიძეს და მალხაზ ნიჟარაძეს შესაბამისად 50 და 60 კგ წონით კატეგორიებში არ ჰყავდათ ბადალი. რაც შეეხება მათ თანაგუნდელ რევაზ მიქაბერიძეს, რომელიც მეტოქეებზე ორი წლით უმცროსი გახლდათ, მას ოდენ ფინალში მოეცარა ხელი.

ქუთაისელი ძიუდოისტები ტურნირისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა ომარ მერაბიშვილმა, ამირან მამრიკიშვილმა და დავით თევდორაძემ.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრის ახალი მოწმობის მისაღებად მიმართეთ ასოციაციის ოფისს (რუსთაველის 42, ტელეფონი 99 08 22)

**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური.

# საქართველო — რუსეთი

თბილისი. 3 მარტი. «ეროვნული». 15 საათი



ალექსანდრ პერვუხინი

# ჩვენ ტიტეები არა ვართ, ჩვენ დათვები ვართ!

**მაშ ასე,** ოთხი წლის მერე რუსეთის ნაკრები კვლავ თბილისშია.

სტუმრები ნაშუადღევს ჩამოფრინდნენ და საბაჟო-სამგზავრო ფორმალობათა მერე, სასტუმრო „ციცინათელას" მოადგნენ. რუსეთის ნაკრების უფროსობამ დინჯად შეაბიჯა სასტუმროს ჰოლში. მათ მორაგბეებიც მიყვნენ, რომლებიც მომცრო მაგიდებს მიუსხდნენ და ნომრების განაწილებას დაელოდნენ. ზოგმა ყავა მოითხვა, ზოგმაც მინერალური წყალი. ნაწილი გარეთ გავიდა და მზეს მიეფიცხა. ნომრების განაწილებაც მორჩა და მორაგბეებმა ოთახებს მიაშურეს. მგზავრობით გადაღლილები ძილს მიეცნენ, უფრო გამძლეები კი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიას მოედვნენ და მცირე ექსკურსიას მოაწყვეს. რუსთა ამალაში ნაცნობი სახე შევნიშნეთ. ქუთაისის „აიას" მორაგბე და მერე მთავარი მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი აგერ მეორე წელია, რუსეთის ნაკრების გუნდის უფროსია. ბატონი დუგლასი მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და მერე თავის ნომერში შეგვიპატიჟა, ის ბრალდებები უნდა უარვყო, რაც შარშან საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ რომ დამწამაო.

— საფრანგეთიდან ჩამოფრენილ ქართველ ლეგიონერებს მოსკოვში დავხვდი. აღმოჩნდა, რომ მათ კრასნოდარში გასამგზავრებელი ფული არ ჰქონდათ. გადავრეკე რუსეთის რაგბის კავშირის ოფისში და თანხა ვითხოვე. ავუღეთ ბილეთები და კრასნოდარში გადავფრინდით. კრასნოდარში ჩასულებს, ცხადია, არც ცხოვრების და კვების საშუალება გააჩნდათ. სასტუმროში დავაბინავეთ და დღენახევრის ხარჯები საკუთარი ბიუჯეტიდან გავიღეთ. ხომ შეეძლო რუსულ მხარეს, უარი ეთქვა და რაც არ ევალებოდა, არ გაეღო. მატჩამდე სამი დღით ადრე საქართველოს ნაკრები სრულად შეიკრიბა. სავარჯიშო მოედანი მოითხოვეს და მიიღეს კიდეც. რომ ამბობენ, მოედანიც არ მოუციათო, სულ ტყუილია. „დინამოს" სტადიონზე მატჩამდე ორი დღით ადრე ვერ დავუთმობდით, წესია ასეთი — სტუმარმა ნაკრებმა მატჩის ადგილზე წინა დღეს უნდა ივარჯიშოს, რაც გავაკეთეთ კიდეც. და კიდევ, რომ ამბობენ საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელები, დუგლას კავთელაშვილმა გასახდელი არ მოგვცაო, არ რცხვენიათ?! რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა მითხრა, შენს თანამემამულეებს უთხარი, სტადიონის გასახდელი უვარგისია, ას მეტრში კი ნორმალურიაო. მე ერთ-ერთ ქართველ მორაგბესთან მივედი, ვთხოვე, კლოდ სორელისთვის გადაეცა, ასე და ასეა საქმე და რას აირჩევთ- მეთქი. ასე მიპასუხეს, გასახდელი არ გვჭირდება, პირდაპირ სარბენ ბილიკზე გამოვიცვლითო. ეს ჩემი ბრალია? გეფიცებით ყველაფერს, ერთი სიტყვაც არ მომიტყუებია. ერთადერთი, რაშიც რუსული მხარე შეცდა, ეს ავტობუსის დაგვიანებაა. ისიც, ალბათ, გამოუცდელობით და უყურადღებობით მოუვიდათ. ამას თავად აღიარებენ და მატჩის კომისართან თვითონვე მოაგვარებდნენ საქმეს.

**— მაშ რაში დასჭირდა საქართველოს რაგბის კავშირის-ს ხელმძღვანელობას იმის თქმა, რაც თქვა?**

— თავი რომ დაეზღვიათ.

**— რისგან?**

— საქართველოს ნაკრებს რომ წაეგო, იტყოდნენ, პირობები არ შეგვიქმნეს, უდიერად მოგვექცნენ და წაგვაგებინესო. ერთი სიტყვით, თავს გაიმართლებდნენ.

**— მოდით, წარსულს შევეშვათ. წელიწადნახევარია, რუსეთში ცხოვრობთ, რას გრძნობთ, რას ფიქრობთ საქართველოში ჩამოსვლისას?**

— მე, ქართველ კაცს, აქ მაქვს გატარებული ცხოვრების საუკეთესო წლები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 65 ქორწილის თამადა ვყოფილვარ. მე მიყვარს ჩემი ხალხი, ჩემი საქართველო. მატჩის შემდეგ მშობლიურ ქუთაისში ჩავალ და ძველ მეგობრებთან ერთად მოვილხენ.

საუბარში ოთახში შემოსული რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ პერვუხინი ჩაერია, ერთიორი მეც მათქმევინეთო. პერვუხინი დაეთანხმა დუგლას კავთელაშვილს, ჩვენ არაფერი გაგვიფუჭებია, მართალია, იყო რაღაც-რაღაც ნიუანსები, მაგრამ მათზე ყურადღების გამახვილება არც ღირსო. ამაზე ლაპარაკს რომ მორჩა, კიდევ რა გაინტერესებთო, აქეთ დაგვეკითხა.

**— მომავალ მატჩზე რას ფიქრობთ?**

— მე ლამაზ სანახაობას და მაღალი ხარისხის რაგბის ველი. ძალიან ძნელი მატჩი და ნამდვილი ბრძოლა იქნება.

**— შანსებს როგორ აფასებთ?**

— ვფიქრობ, შანსები თანაბარია, ორმოცდაათი-ორმოცდაათზე.

**— თბილისში ჩამოსვლამდე კრასნოდარში ერთკვირიანი შეკრება გაიარეთ, კმაყოფილი ხართ?**

— დიახ, იქ ბევრი რამ მოვასწარით. უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურად ვივარჯიშეთ. ეს შეკრება ძალიან წაგვადგა.

**— გავიგეთ, შაბათამდე ვარჯიშს არ აპირებთ...**

— მართალია. კრასნოდარის შეკრების შემდეგ აუცილებლობას ვერ ვხედავ, რომ ბიჭებმა დღეს ან ხვალ ივარჯიშონ. მგზავრობამ გადაღალა და ორი დღე დაისვენებენ. შაბათს მატჩის ადგილას წავივარჯიშებთ, ვფიქრობ, ეს საკმარისი იქნება.

**— შემადგენლობა თუ შეარჩიეთ?**

— არა, არ ვჩქარობ. 25 მორაგბე ჩამოვიყვანე, ხვალ კიდევ ორს ველოდები. გუნდში ოთხი სამხრეთაფრიკელია. საქართველოს ნაკრებთან კი ორი აფრიკელი პირველად ითამაშებს.

**— მათ ვინაობას ხომ ვერ გაგვიმხელთ?**

— სამწუხაროდ, გვარები არ მახსოვს.

**— საქართველოს ნაკრებზე რას გვეტყვით?**

— ძლიერი, შეკრული გუნდია. პრაქტიკულად საფრანგეთში მოთამაშეთა ნაკრებია, რომელსაც აშკარად წაადგა ფრანგული სკოლა. შეთამაშებულნი არიან, ერთმანეთს კარგად აზლევენ და უსიტყვოდ უგებენ.

**— ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

— შარშანდელი მატჩიდან მე-15 (ბესიკ ხამაშურიძე) და მე-8 ნომრები (ილია ზედგინიძე) დამამახსოვრდნენ. კარგი მორაგბეები არიან. შერკინების ფრთამ გია ლაბაძემ, გვარიც დავიმახსოვრე, მშვენიერი ლელო გაგვიტანა. ამათ გარდა შერკინების პირველ ხაზს გამოვარჩევდი, ძალიან კარგად მუშაობენ.

ალექსანდრ პერვუხინმა მოგვიბოდიშა, მეჩქარება, უნდა დაგტოვოთო. სასტუმროში რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი შემოვიდა, რომელიც რუსეთის საელჩოში იმყოფებოდა სამხრეთაფრიკელი მორაგბეების სავიზო პრობლემის მოსაგვარებლად. ნიკოლაევს, რომელიც თავისი ქართველი კოლეგის ბიძინა გეგიძის კბილა იქნება, რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**— კმაყოფილი ხართ პირობებით?**

— ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურია, იმედი მაქვს, მომავალშიც ასე იქნება.

**— კვირის მატჩზე რას იტყვით?**

— მითხრეს, ქართველები მინიმუმ 30-ქულიან გამარჯვებას გეგმავენო, მე მგონი, გადაჭარბებულია. ჩვენ აქ პოლანდიის დარად არ ჩამოვსულვართ, საომრად ჩამოვედით.

**— გამარჯვების იმედი გაქვთ?**

— იმედი ყოველთვის არის, დანარჩენი კვირას გამოჩნდება. მინდა, კორექტული და ლამაზი მატჩი გამოვიდეს. რაგბის ეს ძალიან უხდება. შარშან პრაქტიკულად თანაბარი თამაში იყო, ერთ მომენტში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით, მაგრამ ფრანგი მსაჯი იმგვარად მოიქცა, რომ წაგვაგებინა.

**— თქვენ რაგბის საერთაშორისო საბჭოს მოსთხოვეთ, რომ საქართველოსთან მატჩი ფრანგების ნაცვლად იტალიელებს ემსაჯათ. ფრანგი არბიტრების ობიექტურობაში ეჭვი გეპარებათ?**

— დიახ და ახლავე დაგისაბუთებთ. ჯერ ერთი, საქართველოს ნაკრებში, ერთორი კაცის გარდა, ყველა საფრანგეთში თამაშობს. მწვრთნელებიც და ექიმიც ფრანგია. გარდა ამისა, თქვენი კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი საფრანგეთში ცხოვრობს და საქმიანობს. მას პირადად ვიცნობ და ვუთხარი კიდეც, რომ ის უკვე გაფრანგებულია. ვიცი, რომ ქასაშვილი მსაჯთა კორპუსზე გავლენას ახდენს. ტურნირის დაწყებამდე მოვიდა ფაქსი და ვხედავ, რომ რუმინეთთან და საქართველოსთან ფრანგი მსაჯები არიან დანიშნული. მათ ქასაშვილი ნიშნავს! ჩვენ არ ვენდობით ფრანგ მსაჯებს, სწორედ ამიტომ მივმართეთ რაგბის საერთაშორისო საბჭოს, რომელიც დაგვეთანხმა და მოთხოვნა შეგვისრულა. მარტო ჩვენ არ ვართ ასე, ესპანეთის რაგბის ფედერაციის ერთ-ერთი ჩინოვნიკიც მაგას ითხოვდა, მან მითხრა, შარშან საქართველოში ფრანგებმა არაობიექტურად იმსაჯესო.

**— რაც თქვით, სერიოზული ბრალდებაა...**

— ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარ.

**— სამხრეთაფრიკელი მორაგბეების გვარებს ხომ ვერ გვეტყვით?**

— ძნელად დასამახსოვრებელი გვარები აქვთ. ვინც თქვენთან ითამაშებს, ერთის გვარი კონრადია, მეორისა კი მხოლოდ მეტსახელი ვიცი, მას „ტანკს" ეძახიან. ორივე უკანახაზელია.

**ბაჩო სვანიძე**



რუსები მოვიდნენ, დახვედრა ჩვენზეა

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

დღეს, 14 საათზე, სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენციას გამართავენ საქართველოსა და რუსეთის რაგბის კავშირების ხელმძღვანელები






ნიუჯერსელმა სერგეი ნემჩინოვმა ფილადელფიელი კიმ იუნსონი სარმით დასცა

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# კაცი გვარს ასე უხდებოდეს...

## ბრედ ბომბარდირს ორ წელიწადში ერთხელ გააქვს

27 თებერვალი

**ფლორიდა 2:3 დეტროიტი 1:0 1:1 0:1 0:1**

**1:0 ოლაუსონი (11), 2:0 ოზოლინში (21), 2:1 რობიტაილი (28), 2:2 რობიტაილი (58), 2:3 პალი (65)**

მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა, დეტროიტს საკმაოდ გაუჭირდა მოგება. ლიდერის რეპუტაცია უბერებულმა ბრეტ ჰალმა (გოლი და ორი პასი) გადაარჩინა. აღსანიშნავია, რომ პალის დარტყმა სტუმრებისთვის ამ თამაშში მე-60 (!) იყო.

**პიტსბურგი 4:5 ლოს ანჯელესი 2:3 0:2 2:0**

**1:0 პრიდინა (6), 1:1 ელისონი (7), 1:2 ელორანტა (12), 1:3 დედმარში (13), 2:3 ლაუკანენი (15), 2:4 მოდრი (27), 2:5 ლაპერიე (32), 3:5 ლაუკანენი (46), 4:5 კოვალიოვი (60)**

პიტსბურგს მარიო ლემიეც ჰყავდა და მარტინ სტრაკაც, მაგრამ სათანადო წინააღმდეგობა მაინც ვერ გაუწია ათამაშებულ სტუმრებს. ოლიმპიადაზე დაღლილმა მარიომ, რომელსაც სოლტ ლეიკ სიტიში ძველი ტრავმა გაურთულდა, არ დაისვენა, რადგან გუნდს ქულები სჭირდება. თუმცა მისმა ორმა პასმა საქმეს ვერ უშველა. მძიმე ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა მარტინ სტრაკამ მხოლოდ ოთხი წუთი ითამაშა და კვლავ დაშავდა, თანაც პარტნიორ მეკარე იოჰან ჰედბერგის წყალობით, რომელმაც შემთხვევით ყვანჯი სახეში მოარტყა.

ლოსანჯელესელმა ჯეისონ ელისონმა განახლებული პირველობის ორ თამაშში 7(2+5) ქულა მიითვალა.

**ნიუ ჯერსი 0:1 ფილადელფია 0:0 0:1 0:0**

**0:1 განიე (28)**

როგორც იქნა, მარტინ ბროდეც დაასვენეს. მისმა შემცვლელმა, ცნობილმა მეკარემ ჯონ ვანბისბრუკმა 31 დარტყმა მოიგერია, მაგრამ თავისი გუნდი მაინც ვერ გადაარჩინა. აღსანიშნავია, რომ 38 წლის „ბიზერმა" შარშან დაასრულა კარიერა, მაგრამ გადაიფიქრა და ეს დაბრუნების შემდეგ მისი პირველი თამაში გახლდათ.

**ჩიკაგო 2:3 მონრეალი 0:1 1:1 1:1**

**0:1 კოლგეიტი (16), 0:2 ბულისი (28), 1:2 მორონოვი (29), 2:2 ნიულანდერი (53), 2:3 რიგი (56)**

**ანაჰაიმი 3:5 მინესოტა 0:1 1:2 2:2**

**0:1 მარშალი (3), 0:2 შულცი (23), 0:3 ბომბარდირი (32), 1:3 კარია (40), 1:4 ჯონსონი (44), 2:4 კარია (52), 3:4 პოლსტონი (52), 3:5 ლიკლეირკი (60)**

როგორც იქნა, ბომბარდირმაც გაიტანა. ასეთი გვარის პატრონმა მინესოტელმა მცველმა 2000 წლის იანვრის შემდეგ ეს პირველად მოახერხა.

**სამველ ღარიბიანი**

# კვლავ სტუმრად

ცხელ ოლიმპიურ კვალზე დიდ მუსიკალურ ყეენობა „გრემისაც" შესაბამისი წვეულნი ჰყავდა. ფიგურული სრიალის ჩემპიონი სარა ჰიუზი სასურველი სტუმარი იყო. პირქვე ციგაობის ოქროს მედლის მფლობელი ჯიმ ში კი მენეჯერ კელი პეტერსონსა და საცოლე ნატალი ევანსთან ერთად მისულა „გრემის" ჯილდოების 44-ე ცერემონიალზე.







REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ახლოა დასაწყისი

შთამბეჭდავი „ფა-18 ჰორნეთსის" წყვილი თვითმფრინავი თბილისის თავზე მოზუზუნე ამერიკული რკინის ჩიტები არ გეგონოთ. ამ უქმეებზე მსოფლიოს საფორმულო სეზონი იხსნება მელბურნში და მომწყობებს ამ თვითმფრინავებიდანაც დაუზვერავთ არემარე. ფორმულის ფარეხებში კი უკვე ხალხმრავლობაა. ოლივიე პანისსა და ჟაკ ვილნევს წამი უშოვნიათ და შუაში ავსტრალიელი მოდელი ანა-ლიზა ბრაკენსიკი ჩაუყენებიათ. ძმები შუმახერები კი, მიხაელი და რალფი, ეს წუთია ჩაფრენილან მელბურნში. კვირას პირველი „ფერარის" საჭეს მიუჯდება, მეორე „უილიამსისას".








REUTERS მელბურნიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში თუზა კალატაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი:
ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge